№ 31.

# ივერია

წელიწადი პირველი

29 სეკტემ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

**საძიებელი.** I. საპოლიტიკო მიმოხილვა: საფრანგეთი, ავსტრო-ვენგრია,—II. საქართველოს მატიანე: წერილი გურჯაანიდამ—III. ომის ამბები.—IV. გუტული ქართველთ-ულაპია, გაგელისა.—V. როგორ ღუპვენ გლეხსა და როგორ მდიდრდებიან მის დამღუპველნი, გაგთელისა.— VI. თელავის"სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის სამღვდელოთ ყრილობა ქ. თელავში.—VII. განცხადება.

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.** რა შთაბეჭდილება მოახდინა მაკ-მაგონის მანიფესტმა საფრანგეთში, თუ უცხო ქვეყნებში—ამაზედ, ვგონებ, გრძელი ლაპარაკი საჭირო აღარ არის. ზოგს აუტეხა სიცილი, ზოგს აუშალა მწუხარება, ზოგი კიდევ გაოცდა. საცინელია ის ქადილი, რომ მაკ-მაგონი იჩემებს უკანასკნელის დროის საფრანგეთის წარმატებას და ბედნიერებას; საცინელია აგრეთვე ის ყველასთვის ცხადი ტყუილი, რომ უფ. პრეზიდენტი ბრალსა ჰსდებს და ცილსა ჰსწამებს დეპუტატთა პალატს. სამწუხაროა ის მუქარა, რომელსაც უძღვნის მარშალი თავის ხალხს. საკვირველია ის სიამაყე, ის გულდინჯაობა, ის შეურყეველი რწმენა თავისის თავის მართლიანობისა, რომელსაც მაკ-მაგონი აღიარებს თავის ეპისტოლეში. არც იმაზედ გვჭირია გრძელი ლაპარაკი, თუ რა ღონისძიებას ხმარობს მთავრობა, რომ როგორმე თავისი სასიამოვნო პალატი ამოარჩევინოს საფრანგეთის ხალხს. თუმცა მაკ-მაგონი ამბობს თავის მანიფესტში, რომ არა ვითარ დაბრკოლებას არ მივცემ არჩევანის თავისუფლებასაო, მაგრამ საქმით კი სრულიად სხვაფრივ მოქმედობს: მაგალითებრ, გამოსცა ბრძანება, რომ პრეფექტებმა უნდა აუკრძალონ იმ გვარის პროკლამაციების გამოცემა, სადაც აწმყო მთავრობის მცირე რამ ძრახვა იქმნება გამოხატულიო. ახლა მაკ-მაგონს რომ ვკითხოთ, ყველა, რაც კი ამის მოსაწონი არ არის, ძრახვაა და მაშასადამე აკრძალავია. მაკ-მაგონის აზრით ეს არჩევანის თავისუფლობის დაბრკოლება არ გახლავთ. ან არადა,—როგორ მოგწონთ კიდევ შემდეგი მაგალითი. პრეფექტები კედლებზედ აკვრენ განცხადებებს, რომელნიც სახელმწიფო სახის ქაღალდზედ არიან დაწერილნი და რომელშიაც ოფიციალურის კანდიდატის სახელი და გვარია მოხსენებული ამ განცხადებებზედ ხელი პრეფექტებსა აქვთ მოწერილი. ერთის სიტყვით ამ გვარ განცხადებით პრეფექტი ურჩევნებს ხალხს ესა და ეს კაცი ამოირჩიეთო. მთავრობას, რასაკვირველია, ის აზრი აქვს, რომ ბრიყვი და გაუნათლებელი ხალხი პრეფექტის სახელს რომ დაინახავსო შეშინდებაო და უსათუოდ იმ კაცს ამოარჩევსო, რომელიც პრეფექტის განცხადებაშია მოხსენებულიო. მაკ-მაგონის ჭკუით ესეც თავისუფლობის ნიშანია.

ან აი კიდევ მთავრობის ეშმაკობა. საფრანგეთში სუფევს დიდად გავრცელებული რესპუბლიკელი გაზეთი Petit Journal, რომელიც ასი ათასობით საღდება დღეში. ერთმა მაზრის უფროსმა შეჰყარა ყველა ამ გაზეთის გამსყიდავები და უბძანა, რომ ამ გაზეთის მაგივრად სხვა ახალი გაზეთი უნდა გაჰყიდოთო, თორემ გაზეთების გასყიდვის ნება წაგერთმევათო. ამ ახალ გაზეთს, რომელიც მთავრობის მიმართულებისაა, სახელად

Nouveau Journal ჰქვიან და იმავე შეხედულობისა და სახისაა, როგორც Petit Journal გამსყიდავები ისე ჰკვეცენ ამ გაზეთს, რომ მარტო ერთი სიტყვა Journal გამოჩნდეს და მეორე სიტყვა კი დამალულია, და ზოგი მართლა ტყუვდება და რესპუბლიკელის გაზეთის მაგივრად მთავრობის გაზეთს ყიდულობს. ამის შესახებ ერთი პარიჟელი კორრესპონდენტი ერთს საცინელს ამბავს მოგვითხრობს. ვაგონში ვზივარო, ამბობს კორრესპონდენტი, და ჩემ გვერდით ზის დარბაისელი კაცი და ხელში ხურხიანათ დაკეცილი Nouveau Journal უჭირავსო. აი გადაშალა კაცმა გაზეთი რაღაც ამოიკითხა და უცებ დაიძახა: ოჰ, ეს კი მეტის მეტიაო, როგორ არა ჰრცხვენიანთ რესპუბლიკელებს, რომ ამ გვარ ლაპარაკს ჰსწამებენ მარშალსაო. ჩავიხედე გაზეთშიო და თვითონ მარშლის მანიფესტი კი დამიხვდაო, ამბობს კორრესპონდენტი,—იმ დარბაისელს კაცს კი ცილის წამება ეგონაო.

აი ამგვარად იტეხს მთავრობა თავისავე სახელს. გზა დაბნეული მარშალი და მისი მინისტრები დაეხეტებიან აქეთ-იქით და თვითონაც არ იციან რას შვრებიან.

— ტიერს მომავალ არჩევანისათვის დამზადებული ჰქონია მანიფესტი თვის ამომრჩეველთათვის. ეხლა მისმა მეგობარმა მინიემ გამოსცა ეს მანიფესტი. ტიერი ამ წერილში დიდ ძრახვას უცხადებს მთავრობას და უმტკიცებს ხალხს, რომ ამ ჟამად საფრანგეთში მხოლოდ რესპუბლიკელი მმართველობაა შესაძლებელი. ეს მანიფესტი თვისის შინაარსით, რასაკვირველია, თითქმის სრულიად შესანიშნავი არ არის, მხოლოდ შესანიშნავია მარტო იმით რომ მისი დამწერი ტიერია და ამიტომ მშიშარასა და გაუბედავს ხალხს გულს უმაგრებს და აბედვინებს რესპუბლიკას თამამად მიემხროს. ამ ტიერის მანიფესტმა დიდი ზედ-მოქმედება იქონია მთელს საფრანგეთში.

—

**ავსტრი-ვენგრია.** ვენგრიის პარლამენტში, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი რამ წინადადება და კითხვა იყო შეტანილი მთავრობის აწინდელის პოლიტიკის შესახებ. აი სხვათა შორის რა პასუხი მიუცია ვენგრიის მინისტრს—პრეზიდენტს. ტყუილად ამბობენო, ჰსთქვა ტისსამ, რომ ვენგრიის საზოგადოების მიმართულებისა და მთავრობის პოლიტიკის შორის დიდი უთანხმოება სუფევსო. მთავრობისათვის და საზოგადოებისათვის მხოლოდ ერთ გვარი სურვილი უნდა ჰქონდეს, ე. ი. რომ აწინდელმა ომიანობამ არავითარი ვნება არ მოუტანოს მონარხიის სარგებლობასაო. „ამ ჟამად მთავრობის პოლიტიკა,—ჰსთქვა ტისსამ,—მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას ეს სარგებლობა უომრად და რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში არა შეიცვალოს რა ავსტრი-ვენგრიის ნება დაურთველად. ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრის მეოხებით, რუსეთის კაბინეთმა ომის დაწყებისათანავე სიტყვა დასდვა, რომ რუსის ჯარი სერბიას სრულებით არ შეეხება. ამ პირობის ძალით ავსტრიამ ოსმალეთსაც წარუდგინა ამ გვარივე წინადადება: ოსმალეთმაც იგივე პირობა მისცა. იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცევა ოსმალეთი თუ ვინიცობაა სერბიამაც ომი გამოაცხადა, ავსტრი-ვენგრიას არც არავითარი შენიშვნა, არც არავითარი მუქარა არ გამოუცხადებია არავისათვის და არც არა ვითარ დაპირებულებას რასმეს მიჰსცემს ოსმალეთსა. ავსტრი-ვენგრია იქმს იმას, რაც უნდა იყოს ქმნილი ზემოხსენებულის სურვილის აღსრულებისათვის. სამთა იმპერატორთა ზავი არცა უოფილა და არც არის ე. ი. მათ წინადვე არაფრით არ დაუვალებიათ ერთი ერთმანეთი აღმოსავლეთის საქმის თაობაზედ. მათ შორის სუფევს მხოლოდ პირობა, რომ ამა და ამ საქმეში ერთიერთმანერთის თანახმობით და დაკითხვით მოიქცნენ სათვითაოდ და არა საერთოდ. ეს პირშეკრულობა ხერხადაც სწარმოებდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ეხლაც ის გარემოება, რომ ომი მთელს ევროპას არ გადაედვა, უნდა მივაწეროთ სამთა იმპერატორთა მთავრობის მეგობრობას". თუ სამში ერთი სახელმწიფო ომობს, აქედგან დანარჩენთათვის არავითარი მოვალეობა არ გამოდის აღმოსავლეთის საქმის შესახებ."

შემდეგით გაათავა ტისსამ თავისი სიტყვა: „მთავრობას რომ ოსმალეთის განაწილება ჰსდომოდა, ასე არ მოიქცეოდა, როგორც აქამდისინ იქცეოდა. ომის დაწყებისავე უმალ საგმაო იყო მცირედი რამ ძალა გვეხმარა, რომ საქმე ომამდე არ მისულიყო. მთავრობა თუ არ თვით ავსტრი-ვენგრიის სასარგებლოდ სხვა არაფრისთვის არას დროს არ მოსთხოვს ფულს დეპუტატთა პალატს. მთავრობას არავითარი წინააღმდეგი წინადადება ოსმალების უდიერობაზედ არ წარუდგენია ოსმალეთისათვის, გარდა თხოვნისა, რომ ტყვეები დაიფარონ. ამაზედ კი მთავრობას შემდეგშიაც თვალ-ყური ეჭირება."

საკვირველი ხალხია ეს დიპლომატები. რას არ იტყვის და რას არა! შენ კი ისეთქე თავი და გაიგე რამე. ერთის მხრით სამთა მონარხთა მეგობრობა და პირ-შეკრულობა შეურყეველია, მეორეს მხრით ოსმალეთის განაწილება არ მინდაო, მესამედ თითქო ეშინიან კიდეც ოსმალეთთან მტრობა არ დამწამონო.

---

## საქართველოს მატიანე

(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

**წერილი ს. გურჯაანიდგან** 30-ს აგვისტოს. არ ვიცი იცის ვინმემ, რომ გურჯაანში „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“ არსებობს-თუ არა. არ ვდარდობ, თუნდ არ იცოდნენ; არ ვდარდობ იმისთვის, რომ თვით გ უ რ ჯ ა ა ნ შ ი ა ც ბ ე ვ რ მ ა არ იცის-რომ მათს სოფელში აგერ წელიწადი სრულდება, რაც „ბანკი“ არის და უცხოელებს რაღა მოვკითხო!

მკითხავთ—რატომ არ იციან გურჯაანელებმა, რომ ბანკი აქვსო,—იმიტომ, რომ ა რ ი ც ი ა ნ, მეც მოკლედ, მაგრამ მოჭრით კი გიპასუხებთ. გურჯაანი ისეთი სოფელია, სადაც, მართლა არსებობისთვის ბრძოლა ჩუხ-ჩუხებს, დუღს. გურჯაანისთანა ყოველის-მხრით შემკობილს სოფელს სიღნაღის მაზრა ორს ვერ წარმოგვიდგენს; მშვენიერი მრთელი ჭავა, ნაყოფიერი, მალიან ნაყოფიერი მიწა, ჩინებული ვენახები, მოსაწონი ყველასთვის გეოგრაფიული მდებიარობა, ზურგთ უკან ნახევრად გადამწვარი მთიანი ტყე *), წინ ალაზნის ვრცელი მინვდრებიანი ჭალა, იქით კიდევ ბაყბაყ მდევივით გაწოლილი კავკასიის მთები... რაღასაც ვივიწყებ განგებ და არ ვიცი შემატყეთ თუ არა! აი გამიწყრა ღმერთი.... ეჰ, რაც უნდა იყვეს, უნდა გვჭსთქვა! იმისი არ იყვეს—„კაცმა ჭირი მალაო, მაგრამ ჭირმა კი თავი არ დაიმალაო,“ ესეები რო ვიცი, აბა როგორ დავმალო... წყალზე კი „ფხინკად“ გახლავსთ გურჯაანი. ისეთი ჩხუბი, ერთი დავიდარაბაა ამდღით „ნავზედ,“ „ბეზარაანთ წყალზედ,“ „კოდაზედ,“ „ხევის წყალზედ,“ „გაურჯაზედ“ და სხ., რომ პლევნასთან, ან ზივინთან ბრძოლა რას მიქვიან: რასაც საათს უნდა მობმანდეთ, ჩხუბი-აყალ-მაყალი მზად გახლავსთ ერთი დაიძახებს: „ახლა კი ჩემი ჯერიაო,“ მეორე „არა ჩემიო.“ ამაობაში მოუკვათ კინკლაობა. ვირებიც (ასობით დგანან კოკებით დაზურგულნი) აჭყვებიან ფეხის ხმას „ახლა ჩვენი ჯერიც მოდგაო“ და იწყებენ ყროყინს, ერთმანეთზედ შეხტომას, წიხლების სროლას, ჯირითს და.... კოკების ფშვნეტას.... ამ ამბავზედ ერთი პატარძალი დაიძახებს „აი გაგიქრა პატრონი...“ მეორე „ჯორო, შე, პატრონ გაწყვეტილო,“ მესამე „აი, გაჭქერ, გაჭქერ, რა კარგი შენა ხარ! ჯორო, შე....“ აღარ ითქმის. ტოლი ბიჭები რომ მოგროვდებიან, თავს ანებებენ კოკებს და გაიყოფებიან სამ რიგად: ერთი წყალზედ „ჭარიარალოს“ მღერის, მეორე ვენახებში ყურძნისთვის გაიპარება, მესამეც ყარაულობას იწყებს... ამ დროს ისეთი გაშტვენ-გამოშტვენაა, რო შენი მოწონებული... ჭო, დამავიწყდა! აბა ქართველი არა ვარ?! დავიწყობ საქმეს და დაბოლოვებას არ გადირსებ.

გურჯაანი კაი სოფელია მეთქი. მართლაც კაი სოფელია მე და ჩემმა სულმა. გურჯაანი ეხლა თუ არა, მალე „აჯამაანთ სოფელი“ შეიქმნება. სიღნაღის სომხობას გურჯაანი უდგამს სულს. გურჯაანელებსაც ცოტა ხანი არ არის უწყვიათ მბაძველობა, გაჭრობა, აღებ მიცემობა: აქაური სვიმონიკაშვილი (ჯოხაძე) ბევრ სოშეხს გაუდებს მხარზედ ჩალას. აქ მალიან ხშირია „ტორლი!“ ყველა გურჯაანელი ვერცხლ-ქამრიანი, ან შავ ახალუხ გაქონილი „აჯამი“ აღდგომასავით მოელის „ტორლსა,“ რა არის ოც თუმნიანი რამ მანეთად იყიდოს, ათ თუმნიანი ათ შაურად და სხვ. კრიანოსლიანი წურბელა, როგორც „თიბათვის სეტყვის“ *) წინ ისეც ახლა აქეთ-იქით დამვრება, რა არის—შეხვდეს გაჭირვებულ „ნოდარას,“ რომ თუმანი ერთ საპალნე ღვინოდ მიჭსცეს, ხუთი მანეთი შვიდ კოდ პურად, მანეთი ორ კოდ ქერად და სხ.

ყველა გურჯაანელები საშინლად არიან ერთმანეთისაგან გაცალკევებულნი, მისვლა-მოსვლას მოკლებულნი. მაგალითებრ, გურჯაანში შეიძლება საიდუმლოდ შესდგეს რამდენიმე თუმნის ვექსილი თავის მოწმებით, თავდებებით და ვინც ვალის ამღებად არის მოხსენებული, ის კი იქ არ იყვეს და არა იცოდეს რა....

---

*) იხილე „ივერიის“ მე 14 №-ის 2 გვ.

*) იხ. „ივერიის“ მე 17 №-ის 9 გვ.

რამდენჯერ მომხდარა, მაგალითებრ, რომ ხანამ გლეხს მუცელ დენდერა ჰ ა ი ა ს ტ ა ნ ე ლ ი (სომეხი) „ლისტით" ხელში პრისტავით არ მიადგება კარზედ, მან ღვთის განაჩენი არა იცის რა და პირდაღებული შეჰყურებს პრისტავს—„რისთვის მიყიდიან ან მიწერენ ვენახსა, აბა ერთი შევიტყოვო."

მართლა სუდია, მამასახლისი?! ეხლავ, ეხლავ!

ჰო, განზე, განზე ამ ამ „აჯამებიდგან!" მაიცა ჯერ ერთი ოთხივ მწკრივათ დავაყენო და მკითხველი, თუნდ უცხოც იყვეს გურჯაანში რომ მოვიდეს თვითონ იცნობს სათითაოდ, აი დავაყენე, მაგრამ იმ წყობით რომ შეიტყოთ ვინც წინ არის, ის ჯიბის სიდიდითაც წინ არის.... რისთვისაც, ხომ ვიცით და ვიცით, რა საჭიროა მეტი თავის ცხელება.

პირველი ბატონი ა: იჰ, პა, პა, პა! რა რიგად ემჩნევა ნამდვილი ქართველობა?!... ტანადი, მკალ მსხვილი, პირმოგრძო, ყელ წამოხრილი, მხარ-ბეჭიანი, მწითური, თვალებ წამოცვივნული, უნაგირივით ცხვირი, პ რ კ ე ს მ ო ს ა ხ დ ე ლ ი მოწითლო ჭაღარა-შეპარებული ულვაშები და სხ. მოკლე თმიან თავზედ კოხტა ნაბდის ქუდი, ტანზედ ლურჯი ნუხური შალის ჩოხა, მის ქვეშ შავი ლასტიკის გალიპებული ახალუხი, წელზედ კარგა პრტყელი ქამარი აღლიანის ხანჯლით, ჩოხის ფერივე შარვალი, სირაჯული წაღები. აბა სხვა რაღა გნებავთ? მოსაწონი არ არის, მარა ეშმაკის! დავუმატოთ ამას რხევით სიარული ასე გონია ლეშით გამაძღარი ყვავიაო და ცხადი იქნება ყველასთვის „ანი" რომელია.

ბ. დასწყევლა, ბოჩკასავით არ დარგვალებულა! ერთი უყურეთ როგორ ინაბება კატასავით და მორგვივით კისერზედ ხელს ისვამს! ერთი შეხედეთ თვალს როგორ არიდებს ყველას! ძნელი აღსარება არ მოუნდება, რო სამართალი იყვეს!... პოხრუა ცხვირი, შავად ჩაყვითლებული ლოყები, სიბოროტის გამომჟღამპრებელი თვალები; ამრეზილი წარბები, შეჭმუხგნილი, ვიწრო შუბლი, მოკლეთ გაკრეჭილი თავზედ გახუნებული ნაბდის ქუდი; მოკლე სქელი ულვაშები, რგვალი ნიკაპი, მხრებში ღორისავით ჩამძვრალი კისერი, მოკლე მკლავები, მხრებთან გასწორებული მუცელი, შუათანა ტანი და სხვა. „თეთრი კბილი შავი გულიო." სწორედ ამ „ბ"-ზედ არის ნათქვამი.

„აჯამობამდის" შიმშილით წიოდა, ახლა კი ქამარს იმატებს.... სამართალი რო იყვეს ეს პეტრესავით თავქვე ჯვარსაცმელია! გლეხს რო რასმეს უსამართლებს, მარცხენა ხელი და თვალი მალ-მალ უთამაშებენ, ცოდვილობენ, აცა, მაიტა, ჯიბეს ვტუცოთ რამეო!

აი მესამეც—გ: თი, თი! ერთი შეხედეთ ამ ბაჯაჯღანა „აჯამსა" ეჰ!! თვალები, შუბლი, ცხვირი, სიცილი და ხმა სომხობას უმტკიცებს. ტანად დაბალია და სუსტი. ეს გ. უფრო ჰგავს იმ სომხებს, რომლებიც ვირით დაიარებიან სოფელ-სოფელ და ყვირიან: „ს ა წ ვ რ ი მ ა ლ ო ჯ ა გ ა რ ზ ე დ, ი რ მ ი ს რ ქ ა ზ ე დ, ტ ყ ა ვ ე ბ ზ ე დ—ს ა წ ვ რ ი მ ა ლ ო!!.."

ნისკარტა ცხვირი, პატარა არწივივით თვალები, მომცინარი ულვაშები.... და თითებ გაფშეკილი ხელები.... მაიტათ რამეო ჯიბისთვისაო....

აი მეოთხეც—დ: ეს არა ჰგავს არც ერთს ზემო აწერილს „აჯამსა;" ეს გახლავსთ გურჯაანის „ა რ ი ს ტ ი დ ი," სამაგალითო ქცევის კაცი; ამას როგორც მე ისე მრთელი გურჯაანი პატიოსან-სინიდისიერ კაცად იცნობს აქამდის მაინც და შემდეგაც იმედია, თუ მისს შესახებაც არ არის თქმული—„ხარი ხართან დააბი და ან ფერს იცვლის, ან ზნესაო." რას იქს ეს პატიოსანი „დ," თუნდა სახარების თანახმად მაგალიც იყვეს, მართლა! ამ დროში მდინარეობს საშინელი ტალღა უსინიდისობისგან წარმომდგარის უსამართლობისა და იგი ტალღა ყოველ პატიოსნების წარმომადგენელს ჩაითრევს ხოლმე თვის უძირო უფსკრულში.... ესრე ყოფილა, ესრე გახლავსთ კიდეც....

აი ამისთანა კაცების ხელშია, ბანკიც, რომლის სოფლის სხენება ჯერ ხეირიანად არ არის გურჯაანში. თუ ბევრჯელ არა, ორჯელ მაინც ვიყავ იმის მოწმად, რომ ბანკის მოანგარიშემ (სასწავლებლის ოსტატია) რამდენჯერმე ჰსთხოვა მათ წერილით შეიკრიბენითო, მაგრამ იგინი ბახუსს ვერ ღალატობენ, გადაგვხვდებაო.

ვინ „ა," „ბ," „გ," და ბანკი! „ა"-ს აქვს თვისი დუქანი და აბა რად მოინდომებს გულიანად ბანკის კარგად მართვას, როდესაც ბანკის დაარსების ჰაზრი მისის დუქნის არსებობის წინააღმდეგია; ან რად მოინდომებენ ბანკისთვის კეთილს „ბ" და „გ," როდესაც

იგინი ჰსცდებიან ქეიფს და ხალხის ყვლეფას ამ ბანკის გამოისობით: „სადა გვცალიან ბანკისთვის, მლივს კაი ღვინო ვიპოვეთო,“ იძახიან ეს „აჯამთა“ აჯამნი!!..:“

ამ „აჯამებს“ ოთხი გზირი ჰყავთ. ერთმა რო წამოროტოს—აბა ერთი პური გვჭამოთო, დაიძახებენ: აბა, ბიჭებო, (გზირებს) ერთი ხელად კაი ქათმები მორეკეთო!“

გზირებიც ერთს წუთას შემოირბენენ გურჯაანს, აწიოკ-დააწიოკებენ ქვრივებს (თან მღერიან: „მიყვარს, მიყვარს ქვრივი მე, ქვრივის სულის ჭირიმე...“) და მორეკამენ ორი-სამის დღის საგზალს ქათმებს.

აბა თუ ამ აჯამებმა ბანკის საქმისათვის დაასტარონ გზირები!...

ა, ბ, გ, დ-ის სამართლიანობაზედ შემდეგ იყოს.

„ვენერიცანა გურჯაანელი გიცხელოლი.“

---

## ომის ამბები.

ყარაიალი. 22 სეკტემბერს. 20 სეკტემბერს ჩვენი ჯარი იერიშით მისულა მუხთარ ფაშის მემარცხენე ჯარზედ—რომელიც დიდსა და მცირე იაგნაზედ გამაგრებული ყოფილა. ორის საათის ომის შემდეგ ჩვენებს დაუპყრიათ მთა დიდი იაგნისა, რომელზედაც მყოფი ოსმალოს ჯარი ზოგი დაუხოცნიათ და ზოგი ტყვედ დარჩენიათ. მცირე იაგნის მთა კი ისე გამაგრებული ყოფილა, რომ მასზედ იერიშის მიტანა ჯერ-ჯერობით უდროოდ უცვნიათ. უკუ უქცევიათ ყარსის მეციხოვნე ჯარიცა რიცხვით ოცდა ათი ბატალიონი, რომელიც ციხიდამ გამოსულა მუხთარის მოსაშველებლად. ჩვენს ჯარს ღამე გაუტარებია იმ ადგილებზედ, რომელიც წაერთმია ოსმალთათვის. ამ დღის ზარალი 9 მკვდარი აფიცერია და 60 დაჭრილი და ათასს კაცამდე ჯარის კაცია მკვდარი და ორი ათასამდე დაჭრილი. ოსმალოს, გარდა 200 ტყვისა, სხვა ზარალიც მოსვლია არა ნაკლებ ჩვენისა.

— გაზეთის **Кавказъ**-ის კორრესპონდენტი იწერება ყარაიალიდამ: 21 სეკტემბერს შუა დღის დროს ზარბაზნის და თოფის სროლა შეჰსწყდა ყოველ მხრივ. ჩვენს ჯარს უზიდავდნენ ნაომარს ადგილს წყალსა და ხორაგს, რომელიც მათთვის გაგზავნათ ლაშქარში მყოფთ მოვაჭრეთა. თითქმის ოთხ საათზედ ოსმალოთა ზარბაზნის სროლა ატეხეს ყიზილთაფიდამ და ოცის ბატალიონით, ცხენოსანის ჯარის მფარველობის ქვეშ, წამოვიდნენ დასაცემლად ჩვენს ორს ბატარეიაზედ, რომელნიც სუბოტანის პირდაპირ იდგნენ. ჩვენი ქვეითა ჯარი ხევში იყო იმ დრომდე ჩასაფრებული და უეცრად ამოვიდა ხევიდამ და ორას ნაბიჯზედ ასეთი ცეცხლი აუტეხა, რომ რამდენიმე სროლის შემდეგ ოსმალოს ჯარი აირივა და გაიქცა. ჩვენი ქვეითა და ცხენოსანი ჯარი გამოუდგა მდევრად და სდია თითქმის სუბოტანამდე. ერთი უშველებელი მინდორი სავსე იყო ოსმალოს მკვდრებითა. ამ ომში ერივანის პოლკიც იყო და ღამე დადგა თუ არა, ომიც ყველგან შეჰსწყდა. დიდი იაგნის მთა ჩვენმა ჯარმა დაიჭირა და ორი ცხრა გირვანქიანის ბატარეებით გაამაგრა. მხედრობის სარდალმა ღამე ნაომარს ადგილზედ გაატარა. ჩვენმა იმ ადგილზედ იდგომილა, რაც ომით წართმეული ჰქონდათ ოსმალებისაგან.

— იგივე კორრესპონდენტი იწერება ყარაიალიდამ 22 სეკტემბერს: ღამით ჩვენმა ჯარმა თავი დაანება დიდ-იაგნის მთას, ჩვენი მემარჯვენე ჯარი დადგა ყაბახთაფაზედ მცირე იაგნის პირდაპირ. დილით ზარბაზნის სროლა ხელახლად გაიმართა ორივეს მხრით. შუადღის დროს მემარცხენე ჯარი მუხთარ-ფაშისა შეუერთდა ყარსიდამ გამოსულს მეციხოვნე-ჯარს და საშინელი იერიში მიიტანა ჩვენს მემარჯვენე ჯარზედ, მაგრამ უკუქცეულ იქმნა დიდის ზარალითა. ნაშუადღევის ოთხს საათზედ ოსმალთა ხელახლად იერიში მიიტანეს, მაგრამ მაინც ვერა ქმნეს რა. ჩვენი ჯარი თავის ადგილასვე დარჩა.

— იგივე კორრესპონდენტი იწერება ყარაიალიდამ 25 სეკტემბერს: რადგანაც ჩვენი ჯარი ძალიან დაიქანცა, ამის გამო ომი შეაყენეს. ჩვენებმა დაიჭირეს ორი სოფელი, დიდი და პატარა ფარღეთი. ყაბახ-თაფის მთა გამაგრებულია და ჩვენებს უჭირავთ. კურუკდარის ვაკე სრულებით ჩვენ ხელთ არის. მუხთარ-ფაშას ყარსისაკენ ეხლა პირდაპირი გზა აღარა აქვს და უნდა გარს მოუაროს ვიზინკევზედ. ჩვენ ტყვედ დაგვრჩა 240 კაცი, იმათ რიცხვში ერთი შტაბ და შვიდი ობერ-აფიცერია. ნამდვილად ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი ჩვენი ზაზალი. ორი ათასს ხუთას კაცამდე უნდა დაჰკლებოდა ჩვენს რაზმსა. ოსმალოს ზარალი ძალიან დიდი უნდა იყოს ნამეტნავად სუბოტანის ახლოს.

— ბალკანისა და დუნაის ლაშქრობაში არაფერი შესანიშნავი არა მომხდარა რა, გარდა იმისა რომ მეჰმედ-ალიმ, დამარცხდა თუ არა ცარკოვნასთან, თვისის ჯარით უკან დაიწია და ჩვენი ჯარი კი წინ წადგა. შიპკაზედ და პლევნაში არა რაიმე შესანიშნავი არა მომხდარა რა.

— გუშინ მოვიდა ამბავი ყარაიალიდამ, რომ მუხთარ-ფაშა გაუქცევია ჩვენს ჯარს და ალაჯის მთაში მიუმწყვდევია. ყიზილთაფა ჩვენებს დარჩენიათ. ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. ჩვენებს ტყვეები დარჩენიათ.

---

## კუტული ქართველთ ყლაპია

(შემდეგი *)

ზემოხსენებული სომხების წრე დიდის მწუხარ-მეტყველებით აღუწერს უფ. კუტულს ყოველს დიდებას თავიანთისას; სხვათა შორის თავს იწონებენ მით, რომ თუმცა ათის წლის წინად ტფილისში სომხის ოჯახებში უფრო გავრცელებული იყო ქართული ენა, მაგრამ ეხლა მოუსპეთ ეს ამბავიო და ეხლა ყველგან სომხურად ლაპარაკობენო. ხანდისხან კიო, ამბობს კუტული, სომხები ერთმანერთში არ არიან თურმე თანახმა ზოგიერთ საგნებზე, მაგალითებრ, ყარაბაღელი სომეხი ტფილისელს და საზოგადოდ მოვაჭრე სომხებზე ამბობსო: „ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთნი მწერლები და მოგზაურნი ჩვენ სომხებს საერთოდ ცუდად გვიხსენიებენ და გვაძაგებენ, რომ ვაჭრობაში ცუდლუტები და ფლიდები ვართო და მართლაც ტფილისელი მოვაჭრეები სწორედ იმ ნაირნი არიან, ხოლო ჩვენში (ქვემო სომხებში) სხვა ნაირი ხასიათის და მოქმედების კაცნიც მოიპოვებიანო.“ ამის შემდეგ უფ. კუტული მოაყოლებს სომხების ხასიათის უკეთესის მხრის ქებას, უქებს საქმიანობის ნიჭს და სხვას ამგვარსა. ხოლო ტფილისის სომხების წრე კი ნიადაგ იმას ქადულობსო, რომ სომხები მოვაჭრე ხალხს შეადგენენო, ესე იგი, იმ წოდებას, რომელსაც ევროპაში Tiers état ეძახიან. უფ. კუტულის სიტყვით, შკოლების თაობაზედაც არის თურმე განხეთქილება სომხებ შორის. მაშინ, როდესაც ეჩმიაძინის სინოდს ჰსურსო შკოლები სამღვდელოების გამგეობის ქვეშ დარჩნენო, „მშაკის“ რედაქციას კი სურსო მიჰსცეს მათ საერო შკოლის თვისება და ამ სომხების შკოლების მეოხებით იმედეულობსო კავკასიელის თათრების გასომხებასაო. (აქ უფ. არწრუნი გამოაჩენს ღრმას ეტნოგრაფიულ ცოდნას: აქამდე ევროპიულმა მეცნიერებმა არ იციან, რომ კავკასიის თათრები გამაჰმადებულნი სომხებნი ყოფილან (sic!) და უფ. არწრუნმა ეგ საგანი პირველმან აღმოაჩინა. „მშაკის“ რედაქცია იმ დიდა ჭაზრს აღიარებდა, რომ ენა შეადგენს პირველს და უკანასკნელს საგანს გვარტომობის ერთობისათვისაო. აქ ჩვენ მხოლოდ ერთ რასმეს ვკითხავთ უფ. არწრუნს: რით აიხსნება ის, რომ ოკკონელი ირლანდიელებს ანგლიურ ენაზე აღელვებდა?... როგორ მოგწონს, მკითხველო, ერთ მხრივ „მშაკის რედაქცია“ დაყენებული და მეორე მხრივ სინოდი, ანუ კათალიკოზი? ძალიან თანასწორნი მოპირდაპირენი კი არიან, სწორედ მოგახსენოთ!.... უფ. კუტული ხშირად მოსთქვამს ხოლმე: ამ საგანზე სომხის კათალიკოზი ამ ჭაზრისა არისო და უფ. არწრუნი და „მისი შკოლა“ კი ამისაო. რა ეშველება კათალიკოსს რომ წინ ამისთანა მებრძოლი დასდგომია!... მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს უკანასკნელი, უფ. კუტულის სიტყვით, სომხების დელლანგერია, მამა ღიაცინტია; რომ მას უკედ ესმის სომხების სამღრთოწერილი, ვიდრე სომხების სამღვდელოებას; რომ ეს გოლიათი რედაქტორი იბრძვის იმისთვის, რათა სასოფლო კრება მოახდინოს! დიდი ვინმე არ ყოფილაო, იტყვის განცვიფრებული უფ. არწრუნის ძმა-კაცი სომეხი. დიდია თუ პატარა ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, ქვეყნის მპყრობელნო სომეხნო! გარწმუნებთ უფ. არწრუნს, რომ ის პირველი მოთავე არ არის. სომეხთა სასულიერო წესების შეცვლის მსურველთა შორის; რომ სხვებსაც უფიქრიათ ამაზე, მაგრამ რჯულის წესების შეცვლა ტანისამოსის გამოცვლა არ არის, ერთობ საფრთხილო საქმეა. ვურჩევთ „მშაკის“ რედაქტორს და სომხების ფილოსოფოსს დაფიქრდეს ამაზედ კარგად და დელლინგერობასა და ღიაცინტობაზედ ხელი აიღოს, თუ რომ მართლა ისე გული შესტკივა თავის ტომის საქმეზე, როგორც დაურწმუნებია უფ. კუტული—ეს ფუქსავატი ფრანციელი *).

---

*) ჩვენ ვაძლევთ ჩვენს თავს ნებას, რომ პირდაპირ უფ. არწრუნი დავასახელოთ, იმიტომ რომ უფ. კუტული ნიადაგ ხმარობს, შემდეგ გამოთქმას: „ეს არწრუნის და მისის შკოლის ჭაზრი არისო.“ უფ. არწრუნს არ გამოუცხადებია თავისის მხრით უარის ყოფა იმ ჭაზრებისა, რომლებსაც უფ. კუტული მას მიაწერს ხოლმე. ჩვენ აგრეთვე, გვცით ნახულად თუ ნასმენად, რომ უფ. არწრუნს რავდენჯერმე უკითხავს ნაცნობ ქართველთ თვის გმაყოფილების ღიმილით და დაცინვითაც: „თქვენ არ წაგიკითხავსთ კუტულის კორრესპონდენციები? წაიკითხეთ უთუოდ, იქ ძალიან ღირს-საცნობი ამბებია თქვენთვის ქართველებისათვის. ამის შემდეგ იმედი გვაქვს, უფ. არწრუნი არც თვით ითაკილებს და არც ჩვენ გვიგაყინებს, რომ უფ. კუტულისაგან მიწერილი უფ. არწრუნისადმი ჭაზრი, უფ. არწრუნზვე ვაკუთნებთ საჯაროდ.

*) „ივერია“ № 30.

„ჩვენ ხალხს პოეზია არ უყვარსო, ჩვენ უფრო მსჯელობა და კრიტიკა გვიყვარსო,“ ამბობს თავ-მოწონებით სომხების ფილოსოფოსი უფ. არწრუნი და იმის „შკოლა.“ ნუ თუ საძრახისია პოეზიის სიყვარული? ჩვენ ამით ვრწმუნდებით, რომ უთუოდ ახირებულად ესმის ამ სომხების ფილოსოფოსს პოეზია. მარტო ფანტაზიაში კოშკების აშენება ხომ არ შეადგენს პოეზიას? თუმცა პოეზია არ ჰყვარებიათ, მაგრამ ფანტაზია მოკლებულნი კი არ ყოფილან უფ. არწრუნი და მისი „შკოლა“. აი ამის დასამტკიცებელი საბუთიც: ამ გოლიათის ფილოსოფოსის ჰაზრით (Temps, 29 ივლისის ნომერი,) სომხები მომავალში შეადგენენ იმისთანა სახელმწიფოს, რომელშიაც მცხოვრებთა რიცხვი 30 მილიონი იქმნება *). საიდამ უნდა მოაგროვოს ამ სომხების ფილოსოფოსმა **) და იმის „შკოლამ“ ეს 30 მილლიონი, გარკვევით ამას არ ამბობს. ვჰსთქვათ, ყველა სომხები, რომელნიც უფ. გუტულის სიტყვითვე, ასრე დაფანტულნი და დაქსაქსულნი არიან დედა-მიწის ზურგზე შეიყარნენ ერთ ადგილას და გადმოესახლენ სომხეთში, თუმცა კი ისტორია გვიჩვენებს წინააღმდეგ მაგალითებს და ამტკიცებს, რომ გვარტომობის მიმზიდველობის გარდა, ბევრი სხვა იმისთანა საგანია, რომელიც იძულებულ ჰყოფს ხალხს იყოს იქ, საცა ერთხელ და ერთხელ ბინა მოუკიდნია. ფანარიოტები ტომად ბერძნები არიან, მაგრამ ფეხსაც არ იცვლიან სტამბოლიდამ და არ გადადიან ახლად დაარსებულ საბერძნეთში. ვჰსთქვათ კავკაზიის თათრები, ქართველები, უფ. არწრუნის წყალობით და ლოცვა-კურთხევით, გასომხდენ კიდეც, ეს რომ მეექვსედსაც არ შეადგენს ზემორე ხსენებულის რიცხვისას? მიგვირთმევია უფ. არწრუნისათვის მთელი მცირე აზიაც, სირია, მესოპოტამია, მაინც რომ არ გამოვა 30 მილლიონი? აქ დაგვჭირდება ამ რიცხვის შესავსებლად სპარსეთიც, ბელუჯისტანი და ავღანისტანი.....

И весь размежеванъ свѣтъ
Безъ войны и драки......

გვიკვირს უფ. არწრუნი, როგორც სომეხი „ჩოტკის“ კაცი უნდა იყოს და ეს ანგარიში როგორ შეჰშლია. ნუ თუ ამ პოეზიასთან შემომწყრალს ფილოსოფს ადამიანების მოკრეფვა ისე ადვილი ჰგონია, როგორც ფულისა!

უფ. გუტული მოგვითხრობს, რომ უფ. არწრუნს მიუღია ყირაღლების დევიზი: „უნდა იყვირო....“ და დაუწყია ყვირილი და ღაღადება. მას დაჰვიწყებია ერთი ძველი ანდაზა; „ყარყუმს რა მოჰკლავს და თავისი ენაო:“ ღეიდელბერგში ძალიან გავრცელებულია ერთი გარდმოცემა, რომელსაც უფ. არწრუნი, ფილოსოფიის შესწავლის დროს, უთუოთ გაიგონებდა: კარლე მეხუთემ თურმე ისურვა სტრასბურგის სობოროზე ასვლა; მას ეახლა სხვათა შორის ერთი ახალ-გაზდა ღერცოგის შვილი. როდესაც დაბრუნდა მამასთან ეს ყმაწვილი, გაუტყდა მამას, რომ ეკკლესიის წვერზე რომ ავედითო, ერთმა ჰაზრმა გამიარა თავშიო: „მოდი, ვუჯიგავებ ხელს ჩემს ბრძანებულს და გარდავაგდებო.“ მამამ უპასუხა შვილს: „შვილო ჩემო, მაგგვარი საქმეები შეიძლება მოახდინოს კაცმა, თუ სხვანაირად საქმეს არ მოუვლება, ხოლო მაგისთანა რამ თავის დღეში არ უნდა გამოამჟღავნოსო.“

სომხების გამჭრიახობის და სიბრძნის მაგალითად უფ. გუტულს მოჰყავს რამდენიმე სომხური ანდაზა. მაგალითებრ: „რად კითხულობ გინ გამოაცხო ეს პური, გინდ ურიის გამომცხვარი იყოს,— თუ გემრიელია, სჭამეო.“ ანუ: „სადაც ნახო პურიო იქ დაიბინავეო.“ როგორ ეტყობა მართლა რომ სომხური ანდაზაა!.. ყველა-ყველა და ერთი ვკითხოთ უფ. არწრუნს: ეს ლათინურის ubi bene, ibi patria-ს მაგგვარი ანდაზები უხდება თუ არა მის გულითადს დედა-აზრს? ამ ანდაზების მთქმელი ხალხი ათას ნაირად დაქსაქსულნი, იქ დაბინავებულნი, საცა კი პურის სუნი მიჰსდენიათ—თქვენ უფ. არწრუნო უნდა შეჰკრიბოთ და 30 მილიონიანი სომხის სახელმწიფო შეადგინოთ?

---

*) ახლა კი გვესმის ჩვენ, რასთვის გამოსცა არწრუნმა დიდად შესანიშნავი თხზულება თვისი „Восточный вопросъ“, რომლის ქებას უფ. გუტულის წერილებში საზღვარი არა აქვს; თუ ემახსოვრება მკითხველს, ამ თხზულებითა უფ. არწრუნი თათრებს არამც თუ ევროპიდამ განდევნის და ჰყრის, არამედ აზიიდამაც. უნდა ვიფიქროთ, რომ უფ. არწრუნმა რუსულად ასრე გარკვევით ვერ განმარტა თავისი ჰაზრი და ახლა უთუოდ უფ. გუტულის გაუტყდა, რომ თათრების აზიიდამ გაგდებას, ისევ თათრების გასომხება და სომხების სახელმწიფოში შეყვანა ჰსჯობია. ეს სწორედ გითხრათ კი უფრო ფილოსოფიურად უფიქრია, თორემ სწორედ აჰყრიდა ეს გოლიათი ფილოსოფოსი და დაღუპავდა ამოდენა ხალხს!...

**) მოგვიტევეთ მკითხველო რომ ხშირად ვხმარობთ „სომხების ფილოსოფოსიო.“ რა ვქნათ გვეშინიან, ამ ჩვენ მშა-ხალხს ეს წარჩინებული ფილოსოფოსი არავინ არ წაართვას. რა ვიცით, ქვეყნის თვალი ხარბია!....

არა,—ამისთანა ანდაზაც სომხისა გცოდნიათ, თავ-მოწონებით უფ. კუტულისათვისაც ჩაგიხარებიათ და რა მსჯელობითღა გამოგყავთ თქვენი გულითადი დასკვნა? თუმცა პოეზიაზედ შემომწყრალი ყოფილხართ, მაგრამ მსჯელობასაც, როგორც ვხედავთ უარი უყვია თქვენი შეტრფობა და უთქვამს თქვენთვის: ვერ მოგერთვიო.

რა კი ანდაზებზედ მიდგა საქმე ჩვენც მოგვაგონდება ერთი სომხური ანდაზა, რომელიც ამბობს: „უბედურია ის ქვეყანა, რომელსაც განაგებს ერთობ ყმაწვილი და გამოუცდელი კაცი...“ თუნდ ღეიდელბერგში ფილოსოფიაც შეესწავლოს, დავუმატებთ ჩვენ!

ახლა გადვიდეთ ქართველებზე, რომელთაც უფ. არწრუნის და იმის „შკოლის“ ჭაზრით მეტი არაფერი დარჩენიათ, რომ უნდა გასომხდენო. წარსული მათიო, ამბობს უფ. კუტული ყოვლად-უნუგეშო სურათს წარმოადგენდა: რა იყო საქართველო, სანამ რუსეთის იმპერიას შეუერთდებოდა? იგი იყო საქრისტიანო სახელ-მწიფო, გარშემორტყმული მაჭმადიანებითა და ბარბაროსებითაო. იმას იმისთანა ბედი ქონიაო, როგორიც სომხეთს, იყოო გაუმაგრებელი, ნიადაგ მომლოდინე მტრების დაცემისა; ღონე მიხდილიო ცუდის მართველობით, ერთმანეთის შურითა და წეწვით; მას არ ჭქონიაო ერთი წამიც მოსვენებით ცხოვრება და სხვ. იქნება მკითხველმა იკითხოს, მაშ როდის აღშენდა ეს ამისთანა ტაძრები, შენობები, რომელთაც ახლაც მოჭყავსთ განცვიფრებაში თვით უფ. კუტულის თანა მემამულენი, რა კი ცოტად უფრო დაჭკვირვებიან და მარტო à vol d' oiseau-დ არ შეუხედნიათ საქმისათვის და უფრო შეუსწავლიათ ჩვენი ქვეყანა? ვისაც უკითხავს ამათი აღწერილობა იმათ იციან რამოდენად არიან გაკვირვებულნი მაზე, თუ როგორ გაუძლო ამ პატარა საქრისტიანო ქვეყანამ ამდენ ბრძოლას ბარბაროსებთან? თუ ერთობ მხნე, თავგანწირული და საკვირველად მამაცი ხალხი არ ყოფილიყვნენ ქართველებიო, ეგ შეუძლებელი იქნებოდაო, ამბობს აღმოსავლეთის მცოდნე მეცნიერი დელორიე. უფ. კუტული კი მთელი ორს თვე ტიტინებს უფ. არწრუნის და მის ჯურის კაცთა ჩაგონებით და ერთის საქებარის სიტყვითაც არ იხსენიებს არც ჩვენთა წინაპართ და არც მათს მოქმედებასა. ეგ კიდევ არაფერი, რომ არ გვაქებს: უფ. კუტული თითქმის უარს ჭყოფს ქართველთა შორის იმ ნიჭსაც, რომლითაც ძველთაგანვე განთქმულნი იყვნენ ქართველები:

„მებრძოლნი შავის ბედისა“
და „მტერთა მიმცემნი რისხვისა.“

უფ. არწრუნი ვაჟკაცობასაც შეგვეცილა. მაზანდარელი თათარი გოჭის თავს შემეცილაო, ეს არის სწორედ.

უფ. კუტული უმჟღავნებს ევროპას, რომ არაფერი არ მოიპოვებაო სასიქადულო საქართველოს ისტორიაშიო. ეჰ, რაც არის არის,—დავანებოთ თავი საქართველოს წარსულსა, რომელიც უფ. კუტულიმ და სომხების სასიქადულო ფილოსოფოსმა ისე იცის, როგორც ჩვენ დალაილამამ განსორციელება. ისა სჯობია დავხედოთ, რას მოგვითხრობს უფ. კუტული ჩვენ აწმყოზე: „ქართველები შეადგენენო ღენერლების, ჩალვადრების და მეურმეების ნაციასო.“*) თუმცა იმათ ღენერლები მრავალნი ჭყავთო, წაჭსჩურჩულებს უფ, არწრუნი ყურში უფ. კუტულსა, მაგრამ იმათი ღენერლები გამოჩენილნი არ არიანო. გაახსენეთ მკითხველო, რა თავ-მოწონებით ჩამოათვლევინა სომხების ფილოსოფოსმა სომხების ღენერლები! ნუ თუ უფ. არწრუნის ჭაზრით არ დაისახელება არც ერთი ქართველთ ღენერალი გამოჩენილ სარდლად? ჩვენ არა გვსურს შევეხოთ პირადად ღენერლების ღირსების დაფასებას, მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, სადაც იმდენი სომხის ტომის ღენერლები ჩამოსთვალა უფ. არწრუნიმ, შეიძლებოდა გაეხსენებია ქართველთ ღენერლებში ბაგრატიონი გმირი 1812 წლისა და გინდ ივანე მალხაზის შვილი ანდრონიკაშვილი, დამმარცხებელი თათრებისა სხვილისში და ჩოლოყზე. თუ ესენი მეტი არა, ნაკლები ხომ მაინც არ იყვნენ იმ სომხის სარდლებზედ, რომელნიც უფ. არწრუნმა თავ-მოწონებით ჩამოათვლევინა ქარათფშუტა ფრანციელს, თუ გინდ იმაზე, რომელსაც თერძობიდამ დაუწყვია სამხედრო ხელობა და ღენარლობამდე აღმატებულა.

თავად-აზნაურობა ქართველობისა გაკოტრებულიაო; რაც ფული ჭრგოთ გლეხების განთავისუფლების გამოო,

---

*) ჩვენ ასრე გვთარგმნით ფრანციცულ ლექსს rouliers. რასაკვირველია ესე იქმნება, ამიტომ რომ არისტოკრატობა უფ. არწრუნს დაუჩემებია, როგორც ზევით მოგიხსენიეთ. ნეტა მითხრა: გირაოში ხომ არ დარჩენია ქართველთაგან კეთილშობილება, რომლითაც უფ. კუტულის წინაშე დაუქადნია ამ პატარა ძლიერს ფილოსოფოსს....

სულ შესწამესო; ქართველებმა არშიყობის მეტი არა იციან რაო და მარტო სამსახურში შესვლას ცდილობენო, რადგანაც ეგ ადვილი ხელობააო; ვაჭრობის და ხელოსნობის ნიჭი ქართველებს სრულიად არ აქვსთო. მაშ ვინ ვაჭრობს და ვინ არიან მოხელეებათ დასავლეთ საქართველოში? ნუ თუ იმერლებს და ნამეტურ მეგრელებს ვაჭრობის ნიჭი სრულებით არა აქვსთ? მართალია, ისინი არ ატრიალებენ 30 მილიონებს, (sic.) როგორც მირზოევი, მაგრამ თავის მხარეში მოვაჭრე ხალხის უმთავრეს ნაწილს ისინი შეადგენენ და თავის ახლოს სომეხსა არც კი გააწანწალებენ. თუმცაო ქართველებშიაც იპოვება რაოდენიმე მოვაჭრეები, განმარტებს უფ. კუტული, მაგრამ ისინიც ფულს სომხურად ჰსთვლიანო. როდესაც ერთს იმათგანს ჰკითხეს, რა მიზეზია რომ ფულს სომხურად ჰსთვლიო, მან უპასუხა: „ქართულად რომ ფული დავითვალო, მაშინვე გამეპარებაო.“ რით აგვიხსნის უფ. არწრუნი, რომ მრავალნი სომეხნი არამც თუ ფულს ქართულად ჰსთვლიან, არამედ დავთრებსაც ქართულად ჰსწერენ, მაგრამ ფულები კი, როგორც უფ. არწრუნმა კარგად იცის, მათ ხელიდამ არ ეპარებათ. აქ სულ სხვა ამბავია. უფ. არწრუნს ჰსურს დააჯეროს უფ. კუტული, რომ ქართველები მალე სომხებად გადაიცვლებიანო და პირველს ნიშანს ამ გარდაცვლისას სომხურად ფულის თვლა შეადგენსო! ნუ თუ სომხების სასიქადულო ფილოსოფოსი თავის სატროფიალო ტეორიას ამაზედ ამყარებს! ვითომ რატომო!.....თუ კი კიუვიემ ერთი კბილი ჩაიგდო მამონტისა და იმის მიხედვით ამ ცხოველის მთელი აგებულება და ტანი დახატა, თუ კი ნიუტონმა მნათობთა და ერთობ ზეციერთა სხეულთა მიმზიდველობის ძალა უბრალო ვაშლის ხიდამ ჩამოვარდნაზე დაამყარა, ვითომ უფ. არწრუნი რა ამათზედ ნაკლები კაცია, რომ ქართველების გასომხება ფულის სომხურად თვლაზე არ დააფუძნოს!.. განა ეს კი ფილოსოფოსი არ არის თუ! ნურას უკაცრავოდ. აბა კუტულისა ჰკითხეთ, თუ არ არის და თვითონ არწრუნმაც არა მგონია ამაზედ უარი ჰსთქვას.

გლეხები საქართველოში „ზარმაცნი და ლოთები“ არიანო, მათ არც ერთი კვალი მიწა მებატონეებისგან არ შეუსყიდნიათო. ღმერთო ჩემო, სადა ვართ? ნუ თუ ამ ფილოსოფოსს, პუბლიცისტს, ლიბერალურ დასის წინამძღოლს პატარა პარლამენტში, სომეხთ დელლინგერს, არას ოდეს არ უკითხავს სტატისტიკის ცნობები ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის გლეხებისგან ადგილ-მამულის დახსნის თაობაზე? ჩვენ ვანიშნებთ მას უფ. კუჩაევის წერილსა და ვურჩევთ მალე წაიკითხოს იგი, თორემ სირცხვილია, რომ იმისთანა ფილოსოფოსმა ცას ქვეშეთიზედ მიწევნით იცოდეს და ის კი არ იცოდეს, რაც მის ცხვირ წინ არის და რაც ყოველმა გიმნაზიელმა ეხლა ჩვენში იცის. იმ წერილიდამ გაიგებს უფ. არწრუნი, რომ ტფილისის გუბერნიაში მთავრობის თანაშემწეობით და ქუთაისის გუბერნიაში საკუთარის ფულით გლეხებს გამოუხსნიათ ერთი მილლიონ ნახევრის ადგილ-მამული. ნუ თუ უფ. არწრუნს ის 30 მილლიონიანი სომხის სახელმწიფო რომ მოჰსჩვენებია, ამისთანა საქმე ცხვირწინ გაჰპარვია და არ შეუმჩნევია? თვალები გამოახილეთ, უფ. არწრუნო! ის მაინც დაინახეთ თქვენის ბედნიერის თვალით რომ ქალაქებში საადგილ-მამულო ბანკები და სოფლებში საამხანაგო ბანკები იმართება და ამით სოფლების ულმერთოდ სისხლის მსმელს წურბელებს თავისი საქებური ასპარეზი თან და თან ხელიდამ ეცლებათ ასე, რომ იმედია ეგ წურბელები თავის კეთილ-დღეობას, რომლითაც ეგრე ბაქიობენ, ხალხთა ყვლეფაზედ ველარ დაამყარებენ. საბრალო ქართველებო! უფ. არწრუნს ჩამოურთმევია თქვენთვის ყოველივე უფლება ამ მუხთალს წუთის სოფელში არსებობისათვის! მეტი გზა არ არის უნდა გასომხდეთ, თორემ უფ. არწრუნი უფრო გაგვიწყრება.

მკითხველი თვითონ დარწმუნდებოდა, რომ ჩვენ გვქონდა სახეში მარტო ის საცოდავი, შუბლ-ვიწრო ყოვლად შესაბრალისი წრე, რომელიც ლიბერალურ დასად ჰრაცხს თავის თავს და რომელიც უფ. კუტულის წერილებში იწოდება: „უფ. გრ. არწრუნად და იმის შკოლად“. ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვართ კიდეც დიდად თანამგრძნობელნი იმ კეთილ-გონიერ სომეხთა მოქმედებისა და ღვაწლისა, რომელნიც უანგაროდ, გულწრფელად და გულ-დასხმით იბრძვიან თავის მოძმეთათვის; ჩვენ ყოველთვის თანავუგრძნობთ მათ, ვინც ჰსცდილობს ფეხზედ წამოაყენოს გონებით თუ ზნეობით თავისი ძმანი სომეხნი, რომელზედაც უფ. კუტული თავის უკანასკნელ წერილებში ადიარებს: „ერთობ მხდალნი, ერთობ უმეცარნი, ერთობ თავ-შეუდებელნი არიან თავის სამშობლოშიო.“ ნუ ჰკვირობთ ამას მკითხველო! ვიდრე უფ. კუ-

ტული ტფილისში იყო ხომ ისე აქებდა სომხებს; როცა კი წავიდა ერევნის გუბერნიაში და თავისის თვალით დააკვირდა სომხებს, მაშინ კი ის ქების ჰანგი ამ ძაგების ჰანგად შეჰსცვალა. ამიტომაც ბოლოს უფ. კუტული გულ-ამოსკინჩით ამბობს: „სომხების საქმე ჯერ-ჯერობით არ არის თავ-მოწყევნილიო, არ არის მომწიფებულიო.“

ჩვენ სიხარულით ვიხსენებთ აღრინდელ დროს, როცა ქართველები და სომხები ასე განხეთქილნი და განთვითვეულებულნი არ იყვნენ; როცა ერთმანეთს ხელს უწყობდენ; როცა იმისთანა მაგალითებიც იყო რომ ჩვენებური მემამულენი (ნერსესის დროს) ადგილ-მამულებს ჰსწირავდნენ სომხების სემინარიის სასარგებლოდ და ვსწუხვართ ეხლანდელ, ცოტათი არ იყოს, განზე დგომას ამ ორ თანა-მოძმე ერისას. სამწუხაროდ ჩვენდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენ შევნიშნეთ სომეხთ ახალ-გაზდობაში ერთი სხვა გვარი მიდრეკილება, განზე დგომა და შურით ცქერა. უფ. არწრუნი ცხადად გვიმტკიცებს, რომ ეს ჩვენი მწუხარება და ჩვენგან აქ ხსენებული მოვლინება უსაბუთო და უსაფუძვლო არ ყოფილა. ჩვენ გვახსენებთ მას ერთს არაკს გვარიანად გაცვეთილს, მაგრამ ნიადაგ გასახსენებელს ამ გვარ შემთხვევაში:

> ერთი მოხუცებული რომ სიკვდილზედ მიიწურა, უხმო თავის შვილებს და მოატანია შვილდის ისრები; შეკრა ერთად, მოსწია დასამტვრევად, მაგრამ ვერ დაამტვრივა. მერმე კონა გახსნა, თითო-თითო ისარი ცალცალკე მოჰსწია და თითო-თითოდ დალეწა. მოუბრუნდა თავის შვილებსა და უთხრა: თუ ერთად იქნებით და ერთ პირზედ იდგებით, მტერი ისე ვერ დაგძლევთ, როგორც მე ვერ დავძლიე ისრების ერთად შეკრული კონა, მაგრამ თუ გაიყრებით და გაცალცალკევდებით, მაშინ მტერი ისე დაგლეწავთ, როგორც მე ცალკე ისრები დავლეწეო.

ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებდით უფ. კუტულის უსაფუძვლო ლაყბობაზე, თუ რომ მის კორრესპონდენციებში მარტო უფ. კუტული ლაყბობდეს. თუმცა კი რასაკვირველია, სამწუხაროა, რომ ამისთანა ქარაფშუტა კორრესპონდენტები თავიანთის უმეცარის მუსაიფობისათვის პოულობენ ადგილს პატივსაცემ გაზეთში „Temps.“

რომში, როცა რომელისამე სულიერად მოღვაწე გვამის წმინდანად შერაცხვა უნდათ, მაშინ ერთს კარდინალთაგანს დანიშვნენ ხოლმე ეშმაკის თანამდებობის აღმასრულებლად მარტო იმისთვის, რომ დაიცვას ყოველივე ეშმაკის უფლება მიცვალებულზედ. უფ. არწრუნი რომ სომხურ ჟურნალ-გაზეთობაში იმავე როლს თამაშობდეს, როგორც ეს ეშმაკის უფლებით მოსილი კარდინალი, ჩვენ არას ვიტყოდით. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა ეს ასე არ არის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ზოგიერთს ვითომც მსწავლულთ სომეხთ ამ გვარი ჰაზრი არა ერთხელ წარმოუთქვამთ და ეს იყო მიზეზი, რომელმაც გვაიძულა შევდგომოდით გამოკვლევას უფ. კუტულის კორრესპონდენციისას, რომელმაც აღგვიძრა და აგვიშფოთა ჩვენ სხვა და სხვა გრძნობანი.

დაგვრჩა კიდევ ერთი სიტყვა სათქმელი: უფ. კუტულიმ (იგულისხმეთ: იმისმა ჩამბერგელმა უფ. არწრუნიმ და იმისმა „შკოლა-მოძღვრებამ“.) გადაგვულაპა, გაგვასომხა, ჩაგვფლა საფლავში და აღაპიც, თუ ქელეხი გარდაგვიხადა. ხოლო ყოფილა და იქნება კიდეც მაგალითი, რომ უფ კუტულისა და იმის ჩამგონებელის ქელეხების შემდეგ წარმომდგარიყოს, აღორძინებულიყოს ხალხი, თუნდ იმ საცოდავთ გლეხების მხნეობითა და ღვაწლითა, რომელნიც „ზარმაცნი, ლოთები, მეყურმეები და ჩალვადრები“ არიანო და რომელნიც იქნება ისე ადვილად არ განჰქრნენ ამ დედა-მიწის ზურგიდამ, როგორც ნატვრით ოცნებობს ზოგიერთი მწიგნობარი, თუნდაც დედელბერღში ფილოსოფოსის შეჰსწავლით ჭკვა დაბნეული.

ვაკელი.

20 აგვისტო 1877 წელსა.

---

## როგორ ღუპავენ გლეხსა და როგორ მდიდრდებიან მის დამღუპველნი

(მცირე რამ მოთხრობა ნამდვილისა)

ალექო, ბატონებო, ერთი ღარიბის სომხის შვილია, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ თვრამეტის წლის ბიჭი იყო, გამხდარი ჩაყვითლებული. მამისაგან არავითარი მემკვიდრეობა არ დარჩენია, მხოლოთ დარჩა ერთი კუდა ყომრალი ვირი. ალექო რომ შესრულდა ოცის წლისა, როგორღაც იშოვა ხუთი მანეთი ფული, ამითი ეს უნდა დასდგომიყო ვაჭრობის კვალს და კიდეც დაადგა თავისის ვირითურთ. აი იყიდა კევი, საპონი, სპიჩკები, მთაგრიელები საქონლის თავის ტყავები, რომლებსაც ხალხი ხმარობს საქალამნებათ. ალექომ ესენი გადაჰკიდა თავის კუდა ვირს და დაიწყო კარი-კარს სიარული, ეს იყო

ზაფხულის დღეს. აი ალექო მიადგა კარს ერთ ოჯახიშვილს ტეტიკას, რომელსაც კალოზედ ახლად გამონიავებული პურის ხვავი უგროვია და ემზადება მის დაბინავებას. ტეტიკა ჩამოახვევინებს საწყრიმალოს, დედაკაცები ალექოს კარს შემოუსხდებიან, ზოგი კევს უიდულობს, ზოგი საპონს, ლილას და სპიჩკას. ტეტიკა თვითონ იღებს ერთს წყვილს მთავრიელს საქალამნეთ, რომელშიაც ალექო ართმევს ოთხ აბაზს, როდესაც თვითონ აქვს ნასყიდი წყვილი აბაზათ, აგრეთვე სპიჩკები, რომელიც თვითონ დუქანი აბაზათ უყიდნია თვითო-თვითო შუაზე გაუყვია და დუქნიდგან ოცდა ოთხი „კაროპკა სპიჩკა“ გაუკეთებია. თითო „კოროპკა სპიჩკას“ ჰყიდის შაურათ. აი უანგარიშა ტეტიკას ჩოტკზე ოთხ აბაზათ ერთი წყვილი მთავრიელი, ორი გირვანქა საპონი ორი აბაზი, ოთხი სპიჩკა ერთი აბაზი, კევი და ლილაც ერთი აბაზი—სულ შეადგინა რვა აბაზი ფული. ჰსთხოვს ალექო ტეტიკას ფულს, მაგრამ სადა აქვს ტეტიკას ხელში ფული, ტეტიკა აძლევს პურს, მაგრამ ალექო ყასიდად უარს ეუბნება: „რად მინდა პური, პურის მეტი რა მაქვს, რამდენიც გინდა კოდი ოთხ აბაზათ მოგცე.“ ბოლოს ხათრით და პატივისცემით ალექო სჯერდება კოდს ოთხ აბაზათ. ალექო აწყავს რვა აბაზში ორ კოდ პურს, სთხოვს ახაშენებელსაც, ტეტიკა ოჯახიშვილია, უარს როგორ ეტყვის, უმატებს ერთ ჩანახსაც. აი ამ დღიდან გაიცნეს ტეტიკამ და ალექომ ერთმანეთი.

ალექო ტეტიკას ენდობა, აძლევს ნისიათ ჩიხამახოებს, მხოლოთ ტეტიკა კალოზე უკვეთამს კოდ პურს ოთხ აბაზათ. აი ალექო მეორე ზაფხულს მოვიდა კალოზე ტეტიკასთან და წარმოუდგინა ხუთმეტი მანეთის ნისია. ტეტიკამ ამ ხუთმეტ მანეთში აუწყა თვრამეტი კოდი და სამი კასრი პური. ალექო დიდ მადლობას უხდის და ნათლი მამათაც იკიდებს ტეტიკას. ამ წელიწადს ტეტიკას ცოტა ნაკლებათ მოუვიდა პური, აქეთ იქით სხვებმაც წაიღეს: დალაქმა, მენახირემ, მეველემ და სხვა ვაჭრებმა. დადგა გაზაფხული ტეტიკას პური აღარ აქვს დადის აქეთ-იქით ვერსად ვერ უშოვნია სასესხებელი, წვრილი შვილები სახლში შიმშილით ტირიან.....ამ დროს ეწვევა თავისი ნათლია ალექო, მას შესჩივლებს თავის მწუხარებას. ალექო ჰპირდება პურის მიყიდვას კოდს ოთხ მანეთად, მაგრამ ფულს ხელში ჰსთხოვს. ტეტიკას ხელში ფული არა აქვს, ეხვეწება ნათლიას და რასაც ჰსთხოვს იმის მიმცემია. ალექო აძლევს ნისიათ თვრამეტიოდ კოდს პურს, კოდს ოთხ მანეთად. მაგრამ ისევ პური უნდა დაუკვეთოს კოდი მანეთად. მეტი ღონე არ აქვს ტეტიკას, თავისი გაცემული თვრამეტი კოდი პური კოდი ოთხ აბაზათ, უნდა იყიდოს იგივე თვრამეტი კოდი, კოდი ოთხ მანეთად, სულ სამოცდა თორმეტ მანეთად. ჰსთხოვს ტეტიკა ნათლია ალექოს, რო შეუნახოს ხათრი და ოცი მანეთისა გამოართვას კალოზე ოცი კოდი პური, დანარჩენი ორმოცდა ორ მანეთში დაუკვეთამს ოთხ საპალნე ღვინოს. ალექო წინეთ დიდ უარზე დგას, მაგრამ ნათლი მამის ხათრით თანხმდება, აწერინებს პირობის ქაღალდს, უკეთუ პირობა არ შეასრულა ტეტიკამ, მაშინ ტეტიკა მოვალე იქნება საპალნე ღვინოზე ხუთი თუმანი გადაიხადოს და კოდ პურზე ოთხი მანეთი გადიხადოს ტეტიკამ ალექოს სასარგებლოთ. ამ პირობის წერილს სასოფლო სასამართლოში ამოწმებინებს ალექო. ტეტიკა იწყავს თვრამეტ კოდ პურს ალექოს ბინიდგან და შინისაკენ მიაქვს დიდის მადლობით, ხვდებიან წინ ტეტიკას გლეხები, ჰკითხამენ თუ საიდგან მიაქვს მას პური, ტეტიკა ამბობს: ღმერთმა აშენოს ჩემი ნათლია ალექოს ოჯახი მე იმის მეტი არავინ გამომადგა. სასესხებელი პური ვერ ვიშოვე მეზობლებში, იმას კი ისეთი ხათრი და ნდობა აქვს ჩემზე, რო თვრამეტი კოდი პური მანისიავა.

როგორც იყო ტეტიკამ გამოიზოგა ეს პური ახალ მოსავლამდინ. ახლა კარგი მოსავალი მოვიდა პურისა, პირობის ძალით ტეტიკამ ჩააბარა ალექოს ოცი კოდი პური; მაგრამ ტეტიკას ბედმა უმტყუვნა და ვენახი დასეტყვა. ღვინო არ მოუვიდა; შერცხვა ნათლია ალექოსთან, არიცის როგორ გასცეს პასუხი. მიდის ალექო რთველში, ჰსთხოვს ოთხ საპალნე ღვინოს პირობის ძალით. ტეტიკა ბოდიშს იხდის, მაინცა და მაინც აძლევს ორ საპალნე ღვინოს, რაც მოუვიდა. ხოლო დანარჩენ ორ საპალნეს პირობის ძალით ანგარიშობს ათ თუმნათ და აწერს ვალათ ათი თუმნის ვექსილს, რომელშიაც ყოველწლივ ტეტიკამ უნდა აძლიოს სარგებელში, ვიდრე ფულს გადიხდიდეს, ორი საპალნე ღვინო, უკეთუ ღვინო ვერ მისცეს, როგორც საპალნე ღვინო მის დროს დაფასდეს, ის ფული გადიხადოს ალექოს სასარგებლოდ.

დადგა გიორგობისთვე,—ტეტიკას უნდა თავისი დანიშნულის ვაჟიშვილის დაქორწილება, მაგრამ ღვინო კი

არა აქვს, შვილიც ძალას ატანს. მიდის ტეტიკა ისევ თავის ნათლია ალექსოსთან ღვინის სასყიდლად, ყიდულობს მისგან ორ საპალნე ღვინოს, მასზე ნაკლები რას ეყოფა, ოჯახიშვილია. დიდის მოკეთების პატრონია. საპალნე ღვინოს ურიგდება ალექსოს შვიდ თუმნათ, მაგრამ ჰსთხოვს ნათლიას, რადგან ხელში ფული არა აქვს ვალად დააწეროს თუმანი თვეში ექვს შაურათ: ალექსოს ჰსწყინს, თუ როგორ გაბედამს, რომ ნათლიმამას ასე დიდი სარგებელი გამოართვას და ეუბნება: „ნათლიავ! რაც ჩვეულებაა, ის მომეცი, თუმანზე ხომ ორი კოდი პურის სარგებელი წელიწადში გაკვეთილი, შენც ორი კოდი პური მომე თუმანზე, პურის მიცემა უფრო გაგიადვილდება ვიდრე ფულისა. ტეტიკას უხარიან ასეთი გულ-კეთილობა ალექსოსი და დიდ მადლობას უხდის. ტეტიკა იწყავს ორ საპალნე ღვინოს და ალექსო აწერს თოთხმეტი თუმნის ვექსილს და სხვა პირობის ქაღალდსაც ართმევს, რომ ტეტიკა ვალდებული იქნება იმ ვექსილის ფულის სარგებელში ყოველწლივ აძლიოს ოცდა რვა კოდი პური. რასაკვირველია ამეებსაც სასოფლო სასამართლოში ამოწმებინებს.

ტეტიკამ წაიღო ალექსოს ბინიდგან ღვინო, მაგრამ იაფათ არ დაუჯდა შვილის დაქორწილება, ამას სხვა ვალებიც წამოედო, როგორც მოგეხსენებათ ქართული ქორწილის საქმე. ჩავარდა ტეტიკა ვალში, პური მოუვა ალექსოს მიაქვს, ღვინო მოუვა ალექსოს მიაქვს, ტეტიკა ცოლ-შვილით მუშაობს, წელებზე ფეხს იდგამს, ალექსო ტეტიკას ნაშრომს ხვეტავს და ინახავს თავის ბინაზე. ტეტიკა სარგებლებს ველარ ასდის; ახლა ყოველწლივ ალექსოდგან პურსაც ყიდულობს და ღვინოსაც, ვალს თანდითან ემატება.

გამდიდრდა ალექსო: ამას პურიც ბევრი აქვს და ღვინოც, ეხლა კარგი მხვნელ-მთესველი ოჯახიშვილიც აღარა ჰსჯობია. გახდა მოქალაქე, ჩერქესკაც ჩაიცვა, ამ დროს უკვდება თავისი ერთგული მოჭირნახულე ვირი, რომლის დაკლებას დიდათ ჰსწყუხს, მაგრამ ალექსო ამის შემდეგ აღებს საკუთარ დუქანს, მართამს ყველაგვარ ვაჭრობას, იცნობს სხვა ოჯახიშვილებსაც, და ნათლიმამებათ იკიდებს. ტეტიკას წამოადო ვალი ას თუმნამდინ, ტეტიკა სარგებლების მიცემას ველარ ასდის. ალექსო მისგან ყიდულობს სამის დღის ვენახს სამოც თუმნათ, მაგრამ ოცი თუმანი მაინც კიდევ დარჩა სასარგებლოთ პურზე და ხუთმეტი თუმანი ღვინოზე. ტეტიკა და ალექსო მაინც დიდი მეგობრები არიან, ერთმანეთის ჭირს ჰსჭამენ. ტეტიკა შვილს მოჯამაგირეთ უყენებს ფულის სარგებელში, ბოლოს ცოლიც პური-მცხობლათ უდგება, მაგრამ მაინც სარგებელს ვერ ისდიან და ვალი მუდამ მატულობს. ბოლოს ალექსოს მოჰყავს პრისტავი და უყიდის სახლ-კარს, მამულს და სახლის ავეჯს. ტეტიკა ჯავრობს, ჰსწყევლის იმ დღეს და იმ წუთს, რა დროსაც ალექსო პირველათ მივიდა იმის კალოზე კუდავირით და გაიმცნაურა. მაგრამ რაღას უშველის, წინათვე უნდა ეფიქრნა. დარჩა უმამულოდ, შვილი ტეტიკასი თავის ცოლით სიმამრის სოფელში სახლდება. ტეტიკას ცოლიც უკვდება, წვრილ შვილებს აქეთ-იქით მოჯამაგირეთ აყენებს. თითონ ხან ვისთან არის სამადლოთ და ხან ვისთან. ასე ამ ნაირად ამოწყდა გაკეთებული ოჯახიშვილი ალექსოს წყალობით.

ა. კავთელი.

1877 სეკტემბრის 10-ს.

---

## თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის სამღვდელოთ ყრილობა ქ. თელავში

### 1875—1877 წ.

(შემდეგი *.)

წინად აღწერილმა (იხილე „ივერია“ № 27) სამღვდელოთა ყრილობამ ამოარჩივა სასწავლებლის მმართველობის წევრად ბლაღოჩინი მღ. ს. ფირანოვი და მღ. ი. შიუკოვი; ხოლო მათ კანდიდატებათ მღ. ი. ლაშხაუროვი და გ. მრევლოვი. აბანოს გამართვაზედ კი უარი გამოაცხადა.

როცა სასწავლებლის მმართველობის მიერ წინადადებული საგნები ვითომ გაათავეს, ყრილობა შეუდგა სხვა საგნების განხილვასაც; მაგალითად, მღ. ი. ლაშხუროვი ითხოვდა განთავისუფლებას მცირე მრევლისა გამო 15 მან. შეწირულობისაგან სასწავლებლის სასარგებლოდ, მაგრამ ყრილობამ მისი თხოვნა უარ-ჰყო.

მასწავლებელი დაბალის მოსამზადებელის კლასისა ითხოვდა ჯამაგირის მომატებას, რომელსაც ყრილობამ მოუმატა 100 მან. ისმის ვითომც არქიერი არ დაეთანხმებულიყოს ამ ჯამაგირის მომატებაზედ. სამღვდელოებას კი ძლიერ ეწყინება ამისთანა უარი, რადგან იმან

*) ივერია № 25, 26 და 27

არ იცის, რომ წესით (Опр. Св. Синода 15 Сент. 3 Окт. 1872 г.) ყრილობის წევრთ ნება არა აქვთ არც თვით დააჯილდოვონ ვინმე, არც უშუამდგომლონ ვისმეს ჯილდოსგამო მთავრობის წინაშე.

ყრილობამ თავის განჩინებაში ჩასწერა, რომ ვალდებულად ხდის თელავის სასულიერო სასწავლებლის მმართველობას წინადვე აცნობოს ხოლმე ბლაღოჩინებს, თუ რა საგნებზედ უნდა იყოს საუბარი ყრილობაზედ. დასდვეს ჯერეთვე ხუთ-ხუთი მანეთი ჯარიმა იმ დეპუტატებზედ, რომლებიც დანიშნულები იყვნენ და არ კი გამოცხადდენ ყრილობაზედ. ეს დეპუტატები ეკუთვნოდნენ უთიაშვილის და ბედიევის საბლაღოჩინოებს.

ამ სახით შეადგინა ს. ბოდაევმა განჩინება, დეპუტატებმაც ბრმა-ყრუათ მოაწერეს ხელი და გაგზავნეს დასამტკიცებლად.

ამ განჩინებიდგან სჩანს, რომ სამღვდელოება ტყუილუბრალოდ მოსცდა თავის საქმესაც და სხვაც ტყუილად მოაცდინა. შეათანხმე, მკითხველო, ერთი ერთმანეთთან მღვდლების აზრი, სიტყვა და მოქმედება იანვრის 9 და 10 რიცხვისა, და თქვენ ნათლად წარმოგიდგებათ წინ ჩვენის მღვდლების თავიანთ თავისაგან გაცლა, თავის თვისის უარ-ყოფა და სხვის თავით ფიქრი და მოქმედება. თუ ეს ასრე არ იყო, მაშ რამ გამოაცვლევინათ მეორე დღეს ის კეთილი და სასარგებლო აზრი, რაც გუშინ გარდასწყვიტეს ყველამ ერთ-ხმად. ამის მიზეზად, როგორც ამბობენ მაშინ, შეიქმნა ერთი თელავის ბლაღოჩინთაგანი; ამის სიტყვას თურმე დიდი გავლენა ჰქონია იმისთანა დეპუტატებზედ, რომელნიც საუბედუროდ მოკლებულნი ყოფილან საკუთარს მოსაზრებას. მართალია, აწინდელს შემთხვევაში ამ ბლაღოჩინს ჰქონდა უპირატესი მნიშვნელობა, მაგრამ არც კი სხვა ბლაღოჩინები ყოფილან ამ საქმეში ხელდაბანილნი, როგორც ამას ჰსცნობს მკითხველი „ერთის მღვდელთაგანის“ კორესპონდენციისგან, („დროება“ № 128 წარსულის 1876 წ.)

თუმცა ეს გაფრთხილება ჩვენი მღვდლებისა იყო დაბეჭდილი შარშან ნოემბერშივე და მაშასადამე ხსენებულის ყრილობის წინ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს შეუნიშნავად და უნაყოფოდ დარჩა ჩვენის მღვდელ-დეპუტატებისათვის. ესე რომ არ ყოფილიყო, განა დასაჯერებელია, რომ დეპუტატები ხეირიან მღვდელთაგან არა ყოფილიყვნენ და ამათ არავითარი ყურადღება არ მიექციათ, ან ისე დაუფიქრებლად გადაეწყვიტათ ის მძიმე და დაფიქრების ღირსი საქმენი, როგორნიც იყვნენ სასწავლებლის სახლების განშვენება და სასწავლებლისავე მმართველობის წევრთა ამორჩევა. მართლაც რაზედ დააფუძნა ყრილობამ თავისი უარი სასწავლებლის სახლების განშვენების შესახებ? ამის საფუძველი გამონახა და იპოვნა კიდეც გიორ. მრევლოვმა, ვითომ გამოცდილმა დეპუტატმა, რადგანაც როდისღაც ყოფილა სასწავლებლის მმართველობის წევრადაც, თუმცა ამ თანამდებობის აღსრულებით არ მოუტანია ნამცეცი სარგებლობა არც სხვისათვის და არც თავისთვის. ეს აღტაცებაში მოდიოდა, როგორც ყმაწვილი, ცარიელის სახელით და არა თავის მოქმედებით საზოგადო სიკეთისათვის. ამან ჰსთქვა, ვითომც 1874 წ 15 ოკტომბრის ყრილობის განჩინებით სამღვდელოებამ მიიღო თავისზედ მხოლოდ მოსამზადებელი კლასის ხარჯი და სხვა არაფერი. მაშასადამე გ. მრევლოვის აზრით ყველა საგანნი, წინადადებულნი სასწავლებლის მმართველობის მიერ ყრილობის განსახილველად, არიან უსაფუძლონი და ესენი არ ეკუთვნიან სამღვდელოთ ყრილობის განხილვას. თავის ფიქრს და ცნობას მოკლებულნი დეპუტატები, რასაკვირველია, უცებ დაეთანხმნენ ამ ყმაწვილურად მოაზრე პირს. თავმჯდომარემაც ესევე დაიგრა ენაზედ, და ამის აფხეკა დანითაც აღარ შეიძლებოდა. ეგ ჩვენი ვალი არ არის, ეგ ხაზინამ უნდა გააკეთოს, იმეორებდნენ ერთ-ხმად თავმჯდომარე თავის ერთ-მოაზრე დეპუტატებითურთ. საკვირველი ის იყო, რომ ამ ყრილობას სულ ისეთი ცხვრებივით დეპუტატები შეხვდნენ, რომ თავმჯდომარის ა რ ა ზ ე დ თავის დაკანტურებაც კი დიდს სიბრძნეთ მიაჩნდათ.

ღმერთო ჩემო, ნუ თუ ჩვენს სამღვდელოებას ამათ მეტი წარმომადგენლები არა ჰყავს?! უბედურია ჩვენი სამღვდელოება ამათ ხელში, უბედურნი არიან ამათი შვილები და მომავალი ამათი ბედი-ხვედრი. დეპუტატებო, დაფიქრდით რას ლაპარაკობთ, ვის უჯერებთ? დავიჯერო, რომ თქვენ იმდენად დაუდევარნი იყვნეთ, რომ არ გაშინჯოთ მაინც, თუ ვინა გყავთ იმისთანა ერთგული მცოდნე პირი, რომელსაც თქვენ ენდობოდეთ და რომელმაც თქვენ არ მოგატყუოთ? განა ეს პირი გ. მრევლოვია? რადგან მოწინავე პირი ამისთანა საზარალო საქმეში ბლაღ. ს. ფირანოვი არ იყო დანიშნული დეპუტატად, და, რასაკვირველია, არ იკადრებდა პირდაპირ

ლაპარაკს ყრილობის დროს, ამისათვის საჭირო იყო რომ ესრეთის მოვალეობის აღსრულება მიელო ვისმე დეპუტატს, ფირანოვის თანამოაზრეს. ვინდა მიიღებდ ამისთანა მოვალეობას თავისზედ, თუ არა ერთგული და ერთად მოსამსახურე მასთან სასწავლებლის სამმართველოში პირი მღ. გ. მრევლოვი? მაშასადამე რასაც საუბრობს და რის აღსრულებაც ჰსურს გ. მრევლოვს, მასვე ჰფიქრობს და მოქმედებს ს. ფირანოვიც. ესრეთი თანხმობა და ერთ-აზრობა შეეხება როგორც სხვა საქმეებს სასწავლებლისას, ეგრეთვე იმ განჩინებას, რომელიც შეადგინა სამღვდელოთ ყრილობამ 15 ოკტომბერს 1874 წ. რომ თქვენ, დეპუტატნო, მოტყუებულნი ხართ, ამას შეიტყობთ თვით განჩინების შინაარსიდგან. თუმცა ამის ნამდვილი დაიკარგა, მაგრამ პირი მაინც დარჩა, ბოდაევის და მისთანა-მოაზრეთ სანუგეშებლად.

სამღვდელოებას მოუვიდა მოწერილობა ექსარხოსისაგან 27 სეკდემბერს 1874 წ., რომლითაც ჰსთხოვდა პასუხს სამღვდელოებას იმაზედ, მიიღებს სამღვდელოება თავისზედ ხარჯს, შტატით დადებულის სასწავლებლისათვის: ე. ი. იმ ჯამაგირების შევსებას, რომლებსაც იღებენ სასწავლებელში შტატით მოსამსახურე პირნი, თუ არა? ამაზედ აღნიშნულმა ყრილობამ დასდო შემდეგი განჩინება: სამღვდელოებას არ შეუძლიან დაჰფაროს ის ხარჯი, რასაც აქამდის აძლევდა თვით კანტორა, ე. ი. შტატით დადებული ფული. ხოლო რაც შეეხება სხვა საჭიროებას სასწავლებლისას, ე. ი. მოსამზადებელის კლასის გამართვას, ზედამხედველის თანაშემწისათვის სახლის აშენებას და სასწავლებელთან პანსიონის გახსნას, ამის შესახებ ხარჯს მიიღებს სამღვდელოება თავისზედ. ამ განჩინების ძალით არის გაწერილი 1057 მ., რომელიც მღვდლებს ყოველ წელს იანვარში უნდა წარმოედგინათ სასწავლებლის მმართველობისათვის, და ამ ფულიდგან ხუთის წლის განმავლობაში უნდა 337 მ. ყოველ წლობით შეეტანათ თბილისის სავაჭრო ბანკში და ეს ფული უნდა დასარჯულიყო სასწავლებლისათვის სახლების ასაშენებლად (მეტად დიდი თანხა კი შეუდგებოდათ სამღვდელოებას 1,685 მ!). რასაკვირველია, რომ ეს მცირე შეწირვაც კარგი იყო სასწავლებლისათვის, მაგრამ როგორც თვით განჩინება, ისე შეწირულობაც დარჩა მხოლოდ ქაღალდზედ და ამ შეწირულობით არა ვის სარგებლობა არ უნახავს. ამავე განჩინებით ყრილობამ ჰსთხოვა არქიერს, რომ მისის შუამდგომლობით და შემწეობით თელავის სასულიერო სასწავლებელი ისევ იმავე მდგომარეობაში დარჩომილიყო, რა მდგომარეობაშიაც იყო აქამდის და ისევ ის შემწეობა ეძლივა მისთვის კანტორას, რასაც წინად აძლევდა. აი ეს არის ის დაკარგული განჩინება 15 ოკტომბრისა 1874 წ. სამღვდელოთ ყრილობისა, რომელიც რაღაც მანქანებით გაჰქრა თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოთათვის. აღნიშნულის განჩინების შინაარსიდგან, ვგონებ, ცხადად დაინახოს სამღვდელოებამ და ყველა მკითხველმა თუ რა საფუძვლიანად უყვართ სჯა ჩვენს მღვდლებს—დეპუტატებს და განსაკუთრებით მათს თავ-მჯდომარეებს და ზოგიერთ მყოფთ სასწავლებლის მმართველობის წევრთაც, მაგალითებრ, ს. ბოდაევს, გ. მრევლოვს და ს. ფირანოვს. ამ საქმეში ს ბოდაევი ბრმად ამყოლი გამოვიდა უკანასკნელის ორის მღვდლისა, რომლებმაც, როგორც ყოფილთ წევრთა სასწავლებლის მმართველობისათა, კარგად უნდა იცოდნენ და, ს. ბოდაევის ფიქრით, კიდევაც იციან ყველა საგანი შესახებ სასწავლებლისა და სამღვდელოების მასთან კავშირისა.

რაც შეეხება წევრთა ახლად ამორჩევას, უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ისე მოხდა როგორც ყველა ამათი არჩევანი (ბლაღოჩინებისა, დეპუტატებისა) მოხდება ხოლმე: ვერაფერს წესს ვერ ნახავდი ვერც კანდიდატების ამორჩევაში, ვერც თავმჯდომარისაგან ხმების შეკრებაში და აღრიცხვაში. ბოლოს ვითომც შეიტყო თავმჯდომარემ ხმების რიცხვი და დანიშნა კანდიდატებად: ბლაღ. მღ. სოლ. ფირანოვი, მღ. იოანე შიუკოვი, ი. ლაშხაუროვი და გიორგი მრევლოვი. პირველს ვითომ 11 კენჭი ამოსვლია, მეორეს 10, მესამესაც 10 და მეოთხეს 8. არავინ კი იცის აქამდის, თითქმის თვით თავმჯდომარემაც კი, თუ ეს კენჭები უარისა იყვნენ, თუ თანხმობის, რადგან ამათ განჩინებაში ჩასწერეს მხოლოდ კენჭი; ხოლო რის მთქმელი იყო კენჭი ჰოსი, თუ არასი—ამაზედ ტვინი არავის შეუნძრევია. ეს რა შესანიშნი საგანი იყო დიდებულის და ქებულის თავმჯდომარისათვის? მაგრამ რადგან ორი პირველი კანდიდატი ყრილობამ დანიშნა წევრად, ხოლო ორი უკანასკნელი პირველების კანდიდატებად, აქედგან უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავმჯდომარეს ჩაუწერინებია ანუ უკეთ ჩაუწერია განჩინებაში მხოლოდ რიცხვი თეთრის კენჭებისა. აბა შავი კენჭები რა ჩასაწერი იყო, ან ვის ესიამოვნება თეთრის მაგიერ შავის კენჭის რგება. თუმცა ამ გარდაწყვეტილობის აზრს, ჩვენის ფიქრით, როგორც იყო მივხვდით (შეცდომაზედ კი, თუ ეს მოგვივიდა რაშიმე ჩვენ, უკაცრაოდ ვართ თავმჯდომარესთან, რადგან კაცი იბადება ცოდვასა შინა),

მაგრამ ეს კი ვერაფრით აგვიხსნია, თუ რად არის წევრად ამორჩეული ი. შიუკოვი და ი. ლაშხაუროვი კი არა, როდესაც ამათ ორსავეს თანასწორად ამოუვიდათ კენჭი? თავმჯდომარემ იქნება თავისი სიმართლე ამ შემთხვევაში დაამყაროს ძალა-მომრეობაზედ, მაგრამ ჩვენ სხვისთვის მაინც მოვიხსენებთ, რომ ამისთანა შემთხვევაში, კანონის ძალით, წევრად ინიშნებიან მომეტებულის კენჭის მიმღებნი (Опр. Св. Синода 13/27 Декабря 1867 г.), ხოლო მცირე კენჭიანები მათ კანდიდატებად. მაგრამ რადგან ორს კანდიდატს თანასწორად ამოუვიდათ კენჭი, ამისთვის საჭირო იყო, რომ წილი ეყარათ და ეს განჩინებაშიაც ჩაეწერათ. მაგრამ განა სამღვდელოთ ყრილობისა და არჩევანის დროსაც წესსა და კანონს უყურებენ? დამტკიცება, ვისგანაც ჯერ იყო, ამ გვარად შედგენილის განჩინებისა ცხადად და ყველასთვის გასაგონად მოგვითხრობს ამასა.

„ივერიის“ მკითხველები უკვე იცნობენ ბლაღ. მღ. ს. ფირანოვს, როგორც მეოფს წინათაც წევრს და ამასთანავე იციან მისის შრომის ნაყოფიც წევრობის მოღვაწეობაში. იმედია, რომ ეს თავისებრ ზრუნვას არ მოაკლებს ეხლაც და შემდეგშიაც სასწავლებელს. ბურთი და მოედანი წინ ახლავს ს. ფირანოვს. ღმერთმა ქნას, რომ მუხამ, ბუნების წინაალმდეგ, ვაშლი მოისხას. რამდენადაც შესანიშნია უთავბოლო ლაპარაკი დეპუტატების ყრილობის დროს, უმეტესად შესანიშნია ამათი ცხოვრება ქალაქში. ჩვენი ქალაქი ბევრით არ გაირჩევა სოფლისაგან მით მაინც, რომ ახლად მოსულს სტუმარს ყველა მცხოვრები ადვილად შეატყობს. დეპუტატებს ხომ მაშინვე იცნობს ხოლმე ყველა ქალაქის მცხოვრები, რადგან თითქმის ყველამ იცის, რომ აღნიშნულს რიცხვს სამღვდელოთ ყრილობა არის სასწავლებელში. სხდომის დღეს დილით დეპუტატებს ატყობთ კიდეც კაცურს სახეს, მოსაზრებას და მიხრა-მოხრას. ამის შემდეგ კი თავში უბრჭყვინავს კახური უკვდავების წყარო, რომელიც უსიტყვოს ჭკუის მეტყველად, უმეცარს-მეცნიერად, უძლურს ძრიელად და სხვ. ესენი თავიანთ სადგომად ირჩევენ იმისთანა სამიკიტნოებს და მეხაშეების დუქნებს, სადაც პატიოსანი კაცი და განსაკუთრებით სამღვდელო პირი, ზნეობის დამცველი და მაგალითი, ფეხს ვერ შესდგამ უიმისოდ, რომ თავის ღირსება და ხარისხი არ დაამციროს. ყრილობის დროს უადგილო ადგილს გხვდებიან კახურის ღვინით გამობრუჟული დეპუტატები, რომელნიც მაღლა ხმით ყვირიან, როგორც სასწავლებლის საქმეზედ, ეგრეთვე იქ მოსამსახურე კაცებზედ. მაგრამ „ღლაპებს“ დეპუტატს რაღას გააგონებ, როდესაც ფხიზლისათვის ვერაფერი გიგრძნობიებია რა. ამის მაგალითს წარმოგიდგენდათ თვით ს. ბოდაევიც, რომელმაც ერთგან სადილის დროს ჩაბრუჟების შემდეგ დაიწყო თავისებური განსჯა—განხილვა სასწავლებლისა და იქ მოსამსახურე კაცებისა.

ყრილობის დღის საღამოს ეს შევიდა სასწავლებლის ზედამხედველთან ვითომ მოსალაპარაკებლად და როდესაც იგრძნო, რომ უსერხოდ წაიყვანა საქმე და თავისი მოვალეობა, როგორც თავმჯდომარემ, ვერ აღასრულა, მაშინღა ამბობს, რომ თუ მინდა და საჭირო იქმნება განა ვერ გამოვცვლი განჩინებასაო. ამას რომ საკუთარის თავით ეფიქრა, იმედი იყო წინადღეს შედგენილს განჩინებას არავის გამოაცვლევინებდა მეორე დღეს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამისთანა ხასიათის კაცი კეთილს დარიგებას და რჩევას ვერ მიიღებდა. ან რა სადეპუტატე მღვდელი იყო? განა მხოლოდ იმას შეუძლიან დეპუტატობა, ვინც ბევრს-სვამს და ვინც ყველა რჩევაზედ არას იმახის? ესეა თუ არა ბლაღოჩინებმა თითონ უფრო ჩინებულად იციან, თუ ვინ ამოირჩიონ და გაგზავნონ ყრილობაში ერთი დრო არავის შერჩენია. ვნახოთ, რომ ბლაღოჩინებსაც მოუვიდეთ არჩევანის დრო და ვნახავთ, თუ ესენივე, სასწავლებლისათვის მავნებელნი, ეღირსებიან ხელახლად ამორჩევას.

აი როგორი დეპუტატები იყვნენ აღწერილს ყრილობაში და ვითარი სასარგებლო განჩინება დასდვეს სასწავლებლისათვის. შეათანხმეთ ეხლა ამ ყრილობის შედეგი ამაზედ წინად მეოფის ყრილობის შედეგთან და მაშინ ნათლად წარმოიდგენთ, თუ რამდენად ყოფილან დაბნელებულნი გონებით ამ ყრილობის დეპუტატები! ამათ არამც თუ გამონახეს ახალი წყაროები შემოსავლისა სასწავლებლისათვის, არამედ იმასაც ვერ მისცეს რიგიანი დანიშნულება, რაც გამონახული და შეკრებილი იყო წინანდელის ყრილობის კეთილ-გონიერებით და საქებურის შრომითა. მაგრამ ხომ მოიგონებ, მკითხველო, ჩვენის უკვდავის რუსთველის სიტყვებს, რომ „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის....“ მაშ გიხაროდენ, გმირნო დეპუტატნო და ნუ დაივიწყებთ გმირულთა საქმეთა თქვენთა განსანათლებლად სულიერთა და ხორციელთა შვილთა თქვენთა, ძეთა საქართველოსათა! გიხაროდენ, რამეთუ საქმენი თქვენი არა დავიწყებულიყვნენ კეთილ-ნაყოფიერებითა თვისითა უკუნითი უკუნისამდე და ხსენება თქვენი გარდაეცემოდეს შვილითი შვილამდე! როდესაც ერთს დეპუტატთაგანს სახელდობრ გ. მრევლოვს ჰკითხეს, რატომ იმ ფულიდგან არაფერი დასდვეს სახლების განსაშვენებლად, რომელიც სამღვდელოთ შესწირეს 8/9 მაისს 1876 წ. გარდაწყვეტილებით, მაშინ ამან სთქვა პასუხად, რომ განა სახლების მეტი ხარჯი არ გვექმნება? პანსიონისთვის მარტო ერთის წლის ხარჯი გადავდეთ და შემდგომის წლებისათვის დაგვჭირდება ეს ფული პანსიონის ხარჯად. მომავალის ყრილობის განაჩენი დაგვანახვებს, თუ რა ფასი დაედება გ. მრევლოვის საბუთს და რა დანიშნულება მიეცემა ზემოთ მოხსენებულს ფულს.

. . . . .

(შემდეგი იქნება).

# განცხადება

ძალითა წესდების § 83 და კამიტეტის გარდაწყვეტილებისა 9-ს სეკტემბერს 1877 წ. დადგენილისა, თავმჯდომარის მაგიერი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველის კამიტეტისა, იწვევს არა ჩვეულებრივ კრებისათვის ბანკის დამწესებელთ წევრთა. კრება არის დანიშნული 10-ს ოკტომბრისათვის ამ 1877 წ. დილის ათს საათზედ. კრება იქნება ბანკის სადგომში, რომელიც იმყოფება სოლოლაკის ქუჩაზე ნ. კორლანოვის სახლში.

**კრების განსახილველი საგნები შემდეგნი იქნებიან:**

1) აღნიშვნა იმ საყოველთაო სასარგებლო საჭიროებისა, რომელზედაც უნდა მიიქცეს გადადებული თანხმად § 90 წესდებისა, მოგებიდამ 45% ფული. (ამ საგნისათვის ფული არის ბანკში ათას შვიდას ორმოცდა თოთხმეტი თუმანი; აქედამ მხოლოდ ორასი თუმანია გარდაცემული ზედამხედველ კამიტეტისათვის, თანხმად 1876 წლის საზოგადო კრების განაჩენისა.

2) 68, 77, 78, 82, 83, 84, 87 და 88 წესდების მუხლთა ცვლილებანი, რომელნიც წარდგენილ იყვნენ ფინანსთა მინისტრისადმი დასამტკიცებლად თანხმად 18 მაისის 1876 წ. საზოგადო კრების განაჩენისა.

3) ზოგიერთთა წესდების მუხლთა საჭიროდ ცნობილი ცვლილება და დამატება (§§ 6, 12, 15, 18, 19, 20, 22, 28, 39, 50, 66 და 83.)

4) პროეკტი უძრავთა ქონებათა დაფასების ინსტრუქციისა, რომელიც წარმდგარ იქნება საზოგადო კრების განსახილველად და დასამტკიცებლად.

5) მოხსენება, თანხმად ფინანსთა მინისტრის წინადადებისა, მასზედ, რომ მეომარ ჯარში მყოფთ ბანკის მოვალეთათვის ბანკში შემოსატანის ფულის ვადა გადიდვას, როგორც შესახებ იმ შემოსატანის ფულის, რომელიც შემოსატანია 1877 წლის 1 ივლისიდამ 1878 წლის 1-ს ივლისამდე, აგრეთვე იმის შესახებაც რომლის შემოტანის ვადა აქამომდე კიდეც გარდაცილებულია.

6) მოხსენება მასზედ, რომ ფინანსთა მინისტრმა არ მიიღო შუამდგომლობა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შესახებ პრიკაზიდამ საადგილ-მამულო ბანკში ვალების გადმოტანისა.

7) მოხსენება მასზედ, რომ ჯიროვანი თანხა წარდგენილ იყოს არტილლერიის სასწავლებელში სტიპენდიისთვის სახელსა ზედა მისს იმპერატორების უმაღლესობისა დიდის მთავრისა კავკასიის ნამესტნიკისა და სახელსა ზედა დიდის მთავრინისა ოლღა თეოდორის ასულისა ამიერ კავკასიის ქალების ინსტიტუტში.

8) მოხსენება მასზედ რომ საჭიროა ჩვენმა ბანკმაც მიიღოს მონაწილეობა რუსეთის საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა კრებაში.

9) მონიჭება ზედამხედველ კამიტეტისადმი იმ უფლებისა, რომლის ძალითაც მას ნება ჰქონდეს დაითხოვოს სამსახურიდამ დამფასებელნი ვერ აღმსრულებელნი თავიანთის მოვალეობისა.

10) მოხსენება დამფასებელთა თაობაზედ, სახელდობრ მასზედ: 1) თუ რა ვადით არიან დამფასებელნი, ამორჩეულნი 1876 წლის საზოგადო კრებისაგან და ვით შეესაბამის ამ ვადას § 64 წესდებისა და 2) აღმორჩევა დამფასებელ კამმისიის წევრთათვის მოადგილებისა (კანდიდატებისა).

11) აღმორჩევა ბანკის მმართველობის წევრისა ნაცვლად თ. დავით ივანისძის ავალოვისა, რომელსაც ხვდა წილი მმართველობიდამ გასვლისა (§ 67 წესდებისა).

12) მოხსენება მასზედ, რომ მიღებულ იქმნან თუ არა ბანკის წევრად ის მიწათ მფლობელნი თავად-აზნაურნი ტფილისის გუბერნიისა, რომელთაც ყმათა განთავისუფლებისათვის ფული მიუღიათ და რომელნიც მოისურვებენ მათდამი შეწერილი, თავად-აზნაურთა საზოგადო კრების 29 ნოემბერს 1872 ოქმით, ფული შემოიტანონ ბანკში სულ ერთად და ერთხანად.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Сентября 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.